*<u>პროექტი</u>*

**საქართველოს კანონი**

**საქართველოს საზღვაო კოდექსში**

**ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს საზღვაო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 14 ივნისი, 1997, გვ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

*1. კოდექსის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„მუხლი 5

საქართველოს ნავსადგურებს შორის გადაზიდვა და ბუქსირზიდვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემით. უცხო ქვეყნის გემს საქართველოს ნავსადგურებს შორის სამუშაოს შესრულება შეუძლია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.“.

*2. კოდექსის მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„ბ. ქმნის მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიან სისტემას.“.

*3. კოდექსის მე-14 მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:*

„ზ) საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.“.

*4. მე-15 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„ვ) XXI თავში – „გემთმფლობელის პასუხისმგებლობის ფარგლები“ - იგულისხმება გემთმფლობელი, რომელსაც ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემი.

უცხო ქვეყნის სახელმწიფო დროშით მცურავი ბირთვული გემების გემთმფლობელისა და ოპერატორის პასუხისმგებლობა განისაზღვრება გემის დროშის სახელმწიფოს კანონმდებლობით, მაგრამ თუ მისი ფარგლები ამ კოდექსისაზე დაბალია, მაშინ გამოიყენება ამ კოდექსის მოთხოვნები;“

*5. კოდექსის 28-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:*

„ი) აღიარებული აგენტი - პირი/ორგანიზაცია, რომელიც სააგენტოსთან წერილობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენს სააგენტოს გემთმფლობელებთან ურთიერთობაში.“.

*6. კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„3. დროებითი რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება გაიცეს მუდმივ ან ვადიან რეგისტრაციამდე, არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადით, 1 წლამდე გახანგრძლივების შესაძლებლობით.“.

*7. კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:*

„ე) სააგენტოს მიერ აღიარებულ აგენტზე, მხოლოდ გემის დროებითი რეგისტრაციის მოწმობის გაცემის მიზნებისათვის.“.

*8. კოდექსის 35-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„6. ბერბოუტ-ჩარტერის რეგისტრაცია დასტურდება ვადიანი რეგისტრაციის მოწმობით, რომლის ვადა განისაზღვრება ბერბოუტ-ჩარტერის ხელშეკრულების მოქმედების ვადით ან გემის სხვა ქვეყნის სათანადო რეესტრში რეგისტრაციის შეჩერების ვადის შესაბამისად.“ .

*9. კოდექსის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„ა) გემთმფლობელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მოთხოვნა;“.

*10. კოდექსის 36-ე მუხლის მე-8 ნაწილი ამოღებულ იქნას.*

*11. კოდექსის მე-40 მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„5. სააგენტოს შეუძლია, ამ კოდექსის $II^1$ თავით გათვალისწინებულ ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციასთან შეთანხმებით, გასცეს ერთჯერადი ნაოსნობის უფლება საერთაშორისო ნაოსნობის განსახორციელებლად იმ გემზე, რომელიც ჩართულია შიდა ნაოსნობაში, თუ ასეთი ნაოსნობის მიზანია გემის მიმდინარე და სავალდებულო სარემონტო სამუშაოების ჩატარება.“.

*12. კოდექსის $44^1$ მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„ო) წესები და პროცედურები – აღიარებული ორგანიზაციის მიერ გემის დიზაინის, კონსტრუქციის, აღჭურვილობის, მოვლა - შენახვისა და შემოწმების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, რომლებიც შეთანხმებულია სააგენტოსთან;“.

*13. კოდექსის $44^1$ მუხლის „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„უ) IMO-ს A.1070(28) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2013 წლის 04 დეკემბრის რეზოლუცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტების იმპლემენტაციისათვის დროშის სახელმწიფოს დასახმარებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს შესახებ;“.

*14. კოდექსის $44^2$ მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„4. სააგენტო უფლებამოსილია აღიარებული ორგანიზაციებისათვის შეიმუშაოს საქართველოს გემების ინსპექტირების, შემოწმებისა და სერტიფიცირების თაობაზე

სავალდებულო ინსტრუქციები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და IMO-ს A.1070 (28) რეზოლუციის შესაბამისად.“.

*15. კოდექსის 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„მუხლი 45

1. გემის ეკიპაჟის შემადგენლობაში შედის: გემის კაპიტანი, ოფიცერთა შემადგენლობა და რიგითი.

2. გემის ეკიპაჟის შემადგენლობასთან დაკავშირებით სხვა საკითხები რეგულირდება „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. თევზსაჭერი გემის ეკიპაჟის შემადგენლობა განისაზღვრება „მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ” საქართველოს კანონით.“.

*16. კოდექსის 47-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„მუხლი 47

1. გემის კაპიტნის, ოფიცერთა შემადგენლობის და რიგითის თანამდებობებზე სამუშაოდ დაიშვებიან შესაბამისი წოდების მქონე საზღვაო საქმის სპეციალისტები „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978 წლის საერთაშორისო კონვენციის (ცვლილებათა გათვალისწინებით) შესაბამისად.

2. წოდების მინიჭება ხდება სააგენტოში გამოცდების ჩაბარების შემდეგ, რაც დასტურდება სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის სერტიფიკატით.

3. წოდების ჩამორთმევა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი სამგზავრო გემის კაპიტნის თანამდებობის დაკავება შეუძლია კაპიტნის წოდების მქონე პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978 წლის საერთაშორისო კონვენციის (ცვლილებათა გათვალისწინებით) შესაბამისად.“.

*17. კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„მუხლი 63

გემი კომპლექტდება სპეციალურად მომზადებული ეკიპაჟით, რომლის თითოეული წევრის კვალიფიკაციაც დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის სერტიფიკატებით.

მუხლი 64

გემზე სამსახურისათვის დაიშვებიან ის პირები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს საერთაშორისო ნორმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნას იძლევა შესაბამისად აღიარებული უფლებამოსილი ექიმი.“.

*18. კოდექსის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„2. გემთმფლობელი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს მეზღვაურის რეპატრიაციას კონტრაქტით ან კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ვადის გასვლის შემდგომ.”.

*19. კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„4. საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ყველა საზღვაო ნავსადგურში გემების მოძრაობის მომსახურებას საერთაშორისო კონვენცია ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ, 1974 წ., 1978 წლის ოქმით, ცვლილებათა გათვალისწინებით, V თავის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს სააგენტო, მისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით.“.

*20. კოდექსის 70-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4$^1$ ნაწილი:*

„4$^1$. საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ყველა საზღვაო ნავსადგურში გემების მოძრაობის სისტემის ფუნქციონირებისა და კონტროლის წესები რეგულირდება სააგენტოს დირექტორის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით.“.

*21. კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„ა. ნავმისადგომებთან გემების უსაფრთხო დგომის პირობებზე;“.

*22. კოდექსის 87-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

1. ზღვაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გემის სალოცმანო გაცილებას საქართველოს ნავსადგურის მისასვლელებთან და აკვატორიის ფარგლებში, ახორციელებს მხოლოდ სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული საზღვაო ლოცმანი (შემდგომ – ლოცმანი).

2. საზღვაო ნავსადგური ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით, ვალდებულია უზრუნველყოს საზღვაო ნავსადგურსა და აკვატორიაში სალოცმანო სამსახურის ფუნქციონირება.

3. სალოცმანო სამსახური შეიძლება შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ან საწარმოს სტრუქტურული ერთეულის სახით. საქართველოს ყველა ნავსადგური ვალდებულია გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება სალოცმანო

მომსახურების თაობაზე შესაბამის სალოცმანო სამსახურთან. ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს დებულებებს სალოცმანო მომსახურების განხორციელების თაობაზე ნავსადგურსა და ნავსადგურის მისასვლელ გზებზე, სალოცმანო კატარღების ნავმისადგომზე დგომის ჩათვლით.

4. სალოცმანო სამსახურის საქმიანობის შესაბამისის რეგულირება ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (შემდგომში „ტექნიკური რეგლამენტი“) დებულებების შესაბამისად, რომლის მიზანია საქართველოს საზღვაო ნავსადგურების მისასვლელებთან და მათ აკვატორიაში ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სალოცმანო სამსახურების მიერ სალოცმანო მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება. ტექნიკური რეგლამენტი ეფუძნება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) 2003 წლის 5 დეკემბრის A.960(23) რეზოლუციას „საზღვაო ლოცმანების, გარდა ღია ზღვის ლოცმანებისა, მომზადების, სერტიფიცირების და საექსპლუატაციო პროცედურების შესახებ რეკომენდაციები" (შემდგომში „რეზოლუცია“), „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ" 1978 წლის საერთაშორისო კონვენციას (შემდგომში – კონვენცია), ამ კოდექსსა და სხვა სამართლებრივ აქტებს.

5. სალოცმანო სამსახურის სერტიფიკატის ან ლოცმანის სერტიფიკატის მფლობელის მიერ სალოცმანო მომსახურებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე მუდმივ ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს სააგენტო. ზედახმედველობისა და კონტროლის მიზანია სალოცმანო მომსახურების შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით, რეზოლუციითა და კონვენციით დადგენილ მოთხოვნებთან, ასევე, „საუკეთესო საზღვაო პრაქტიკასთან“. საზღვაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში სერტიფიცირებული სალოცმანო სამსახური და სერტიფიცირებული ლოცმანი ექვემდებარებიან ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსს - ნავსადგურის კაპიტანს.

6. სალოცმანო სამსახურის სერტიფიცირება ხორციელდება 5 წლის ვადით, რომლის წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

7. სავალდებულო სალოცმანო გაცილების რაიონებში სალოცმანო მომსახურების ფასი და ლოცმანთა სტაჟირების საფასურის ზედა ზღვარი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

8. ლოცმან-სტაჟიორის სტაჟირების, გამოცდის და ლოცმანად სერტიფიცირების პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

9. იმ შემთხვევაში, როდესაც სალოცმანო სამსახურის და/ან ნავსადგურის ბრალით ან მათ შორის ხელშეკრულების არარსებობის გამო ან საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შეუძლებელია სავალდებულო სალოცმანო გაცილების რაიონში სალოცმანო მომსახურების განხორციელება, სააგენტოს უფლება აქვს დანიშნოს შესაბამისად კომპეტენტური პირი ან/და სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ლოცმანი სავალდებულო სალოცმანო მომსახურების უზრუნველსაყოფად, რომლის ანაზღაურების წესიც განისაზღვრება სააგენტოს მიერ.

10. სახელმწიფო ინტერესებისა და საქართველოს ნავსადგურებში საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ლოცმანი ვალდებულია შეასრულოს სააგენტოს სავალდებულო მითითება სავალდებულო სალოცმანო გაცილების რაიონებში სალოცმანო გაცილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე. სააგენტოს სავალდებულო მითითების შესრულებაზე დაუსაბუთებელი უარი წარმოადგენს ლოცმანის სერტიფიკატის მოქმედების შეწყვეტის საფუძველს. ლოცმანის ანაზღაურების წესი განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის მიერ.

11. სალოცმანო სამსახურს საკუთრებაში/მფლობელობაში უნდა გააჩნდეს მცურავი საშუალება, რომელიც აყვანილი უნდა იქნეს სააგენტოს მიერ აღიარებული საკლასიფიკაციო საზოგადოების ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ და სააგენტოს მიერ მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი - „სალოცმანო კატარღა“, ასევე, უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. სააგენტო ახორციელებს სალოცმანო კატარღის სტატუსის მინიჭებას, გემის სარეგისტრაციო მოწმობაში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების გზით. გემის სარეგისტრაციო მოწმობაში ასევე მიეთითება იმ ნავსადგურის დასახელება, რომელში სანაოსნადაც აღნიშნული კატარღაა სერტიფიცირებული. სააგენტო არ ახდენს სალოცმანო კატარღების ცალკე სერტიფიცირებას. იმ შემთხვევაში როდესაც მცურავი საშუალება არ არის აშენებული როგორც სალოცმანო კატარღა, საკლასიფიკაციო საზოგადოება დამატებით ამოწმებს მისი ამ ტიპის მცურავი საშუალებისთვის დამახასიათებელ აუცილებელ ტექნიკურ კრიტერიუმებთან შესაბამისობას. საკლასიფიკაციო საშუალებას ამ ქმედების განსახორციელებლად უნდა გააჩნდეს სალოცმანო კატარღის ტექნიკური შემოწმების სტანდარტი, რომელიც დამტკიცებულია სააგენტოს მიერ.“.

*23. კოდექსის 94-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„მუხლი 94

გემის კაპიტანი ვალდებულია უზრუნველყოს ლოცმანისა და სტაჟიორის დაუყოვნებლივ და უსაფრთხო მიღება , გემის გაცილების მთელ პერიოდში უფასოდ უზრუნველყოს ისინი ცალკე მოსასვენებელი ოთახითა და კვებით ოფიცერთა შემადგენლობის თანაბრად.“

*24. კოდექსის 106-ე, 107-ე, 108-ე, 109-ე და 110-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

მუხლი 106

1. ქონების ჩაძირვის შემთხვევაში ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელი ან/და მესაკუთრე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ საქართველოს უახლოესი საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსს – ნავსადგურის კაპიტანს.

2. სააგენტო, გემთმფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით, ადგენს ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღების ვადას და ითანხმებს მისი დაცვისა და ამოღების სამუშაოების წარმოების გეგმას, რის შესახებაც აცნობებს მის მფლობელს ან/და მესაკუთრეს.

3. თუ ქონება საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაშია ჩაძირული, მისი ამოღების სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გეგმა ასევე უნდა შეთანხმდეს საზღვაო ნავსადგურთან, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ამ გეგმის ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის ან/და მესაკუთრის ხარჯით შესრულებას.

4. თუ ზღვაში ჩაძირული ქონება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ნაოსნობის უსაფრთხოებას, ხელს უშლის საზღვაო რეწვას, ჰიდროტექნიკური, სამეცნიერო-კვლევითი, გარემოსდაცვითი, საზღვაო-სამაშველო და სხვა მსგავსი სამუშაოების წარმოებას, ასევე ქმნის გარემოს დაბინძურების საშიშროებას, მისი მფლობელი ან/და მესაკუთრე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ საქართველოს უახლოესი საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსს – ნავსადგურის კაპიტანს და მისი მოთხოვნის შესაბამისად, ამოიღოს ზღვაში ჩაძირული ქონება, რომლის ამოღების ვადაც თანხმდება ნავსადგურის კაპიტანთან.

5. ნავსადგურის მიერ ნავსადგურის აკვატორიაში ჩაძირული ქონების ამოღებისას, ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ასევე როდესაც ასეთი ქონება აფერხებს ნავსადგურის აკვატორიაში კომერციულ საქმიანობას ან შესაძლოა შეაფერხოს, მიუხედავად იმისა, ჩაძირული ქონება არის თუ არა სახელმწიფო საკუთრებაში, ნავსადგური ვალდებულია სააგენტოსთან შეთანხმების საფუძველზე, აწარმოოს ქონების ამოღება საკუთარი ხარჯებით და უფლება აქვს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოახდინოს ამოღებული ქონების რეალიზაციის შედეგად.

6. ჩაძირულ ქონებად არ მიიჩნევა ის ქონება, რომელიც საქართველოს ნავსადგურში სატვირთო ოპერაციებისა და სანავსადგურო ინფრასტრუქტურაზე სარემონტო სამუშაოების წარმოებისას შემთხვევით ჩაიძირა ნავსადგურის აკვატორიაში. ასეთი ქონების ამოღებასა და რეალიზაციას აწარმოებს უშუალოდ ნავსადგური, საკუთარი ხარჯებით.

7. ნავსადგურის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ამოღებისას თუ ქონების რეალიზაციის ფასი სრულად დაფარავს ჩაძირული ქონების ამოღების ხარჯებს და რეალიზაციის შედეგად დარჩება თანხის მეტობა, ნავსადგური

ვალდებულია აღნიშნული თანხა გადარიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ნავსადგური ამ მუხლით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, ვალდებულია ქონების რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია წარუდგინოს სააგენტოს.

8. სახელმწიფოს, როგორც ზღვაში ჩაძირული ქონების მესაკუთრეს, ჩაძირული ქონების ამოღებასთან/რეალიზაციასთან დაკავშირებით ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოეშობა არცერთი პირის მიმართ.

## მუხლი 107

1. თუ ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელი ან/და მესაკუთრე უცნობია, სააგენტო საჯაროდ აქვეყნებს ინფორმაციას ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის ან/და მესაკუთრის მოსაძიებლად, ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღების გონივრული ვადის მითითებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, თუ ზღვაში ჩაძირული ქონება გემია, მისი მფლობელის ან/და მესაკუთრის თაობაზე ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, სააგენტო ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის ან/და მესაკუთრის მოსაძიებლად აღნიშნული გემის დროშის სახელმწიფოსათვის გადასაცემ შეტყობინებას, ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღების გონივრული ვადის მითითებით, უგზავნის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან, გარემოებათა გათვალისწინებით, აღნიშნული შეტყობინების გადასაცემად პირდაპირ უკავშირდება შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს.

3. თუ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ვადაში არ განხორციელდა ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღება, სააგენტო უფლებამოსილია უზრუნველყოს ამ ქონების ამოღება ან ამ თავით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მიუხედავად 108-ე მუხლით გათვალისწინებული ვადისა, მოახდინოს მისი რეალიზაცია, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – მიიღოს ზომები მის გასანადგურებლად.

## მუხლი 108

1. ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელი ან/და მესაკუთრე უფლებამოსილია ამოიღოს ჩაძირული ქონება მისი ჩაძირვიდან 2 წლის ვადაში ან გამოითხოვოს ამოღებული ქონება მისი ჩაძირვიდან 2 წლის ვადაში. ამასთანავე, ის ვალდებულია სააგენტოს ან საზღვაო ნავსადგურს აუნაზღაუროს ქონების ჩაძირვისა და ამოღების შედეგად მიყენებული ზიანი და/ან ხარჯები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული ქონება ხდება სახელმწიფო საკუთრება.

3. თუ ამოღებული ქონება რეალიზებულია საზღვაო ნავსადგურის ან სააგენტოს მიერ, იმის გამო, რომ მისი შენახვა არ იყო შესაძლებელი ან/და მიზანშეწონილი, ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელს ან/და მესაკუთრეს უბრუნდება რეალიზაციის

შედეგად ამოღებული თანხა, იმ ხარჯებისა და ზიანის გამოკლებით, რომლებიც/რომელიც სააგენტომ ან საზღვაო ნავსადგურმა გასწია/მიიღო ქონების ამოღების, შენახვისა და რეალიზაციის დროს.

4. ზღვაში ჩაძირულ ქონებაზე ან ამოღებულ ქონებაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს ჩაძირული ქონების მფლობელს ან/და მესაკუთრეს სახელმწიფოსათვის ან/და საზღვაო ნავსადგურისთვის მიყენებული ზიანისა და ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

მუხლი 109

თუ ნავსადგურის აკვატორიაში ჩაძირული ქონება უშუალოდ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ხელს უშლის უსაფრთხო ნაოსნობას ან შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება, ან/და ჩაძირული ქონების მფლობელს ან/და მესაკუთრეს არ ამოაქვს თავისი ქონება დადგენილ ვადაში, სააგენტოს მითითების საფუძველზე, საზღვაო ნავსადგური ვალდებულია დაუყოვნებლივ ამოიღოს ჩაძირული ქონება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს ზომები მის გასანადგურებლად ან სხვა მეთოდით მოსაცილებლად.

მუხლი 110

სააგენტოს უფლება აქვს, საზღვაო ნავსადგურის შუამდგომლობის საფუძველზე ან მის გარეშე აუკრძალოს ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელეს ან/და მესაკუთრეს ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღება მისი მფლობელეს ან/და მესაკუთრის ან/და მის მიერ შერჩეული გემთამწე ორგანიზაციის კუთვნილი საშუალებებით, თუ ამ საშუალებებით სამუშაოთა წარმოება ან/და მისი ტექნოლოგია საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ნაოსნობის უსაფრთხოებას ან ამან შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება. ამ შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ზღვაში ჩაძირული ქონება ამოიღოს მისი მფლობელის ან/და მესაკუთრის ხარჯით ან მოსთხოვოს მას სათანადო საშუალებებისა და ტექნოლოგიის გამოყენება.“.

*25. კოდექსის 113-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„მუხლი 113

1. ჩაძირული ქონების მფლობელი ან/და მესაკუთრე კარგავს უფლებას ქონებაზე, თუ არ ამოიღებს მას ამ კოდექსით გათვალისწინებულ ვადაში ან არ გამოითხოვს ქონებას 108-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადისა და პირობების დაცვით.

2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებას ახორციელებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და შიგა წყლებში ჩაძირული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯართისა და ფერადი ლითონის ამოღების ლიცენზიის მფლობელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებას ამ კოდექსის შესაბამისად ახორციელებს სააგენტო ან საზღვაო ნავსადგური.“.

*26. კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„4. საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში მიმღების მიერ ტვირთის მიღება-შენახვის წესები და ვადა, აგრეთვე მიმღების მიერ მოუკითხავი ტვირთის გაყიდვა ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.“.

**27. კოდექსის 226-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 226

საქართველოს ნავსადგურებს შორის, ასევე უცხო ქვეყნების ნავსადგურებამდე ან უკან საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემების მიერ ბუქსირზიდვა რეგულირდება ამ კოდექსით.“.

**28. კოდექსის 321-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ თავის წესები ეხება აგრეთვე იმ გემებს, რომლებიც საქართველოს სამხედრო-საზღვაო დროშით დაცურავენ.“.

**მუხლი 2.**

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ასევე ამ კანონის ამოქმედებამდე ზღვაში ჩაძირულ ქონებაზეც.

**მუხლი 3.**

1. 2016 წლის პირველ იანვრამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სააგენტომ უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებული სავალდებულო გემების მოძრაობის მართვის რადიოლოკაციური სისტემებით მომსახურებისათვის საჭირო შესაბამისი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

2. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილების განხორციელება ტექნიკურ რეგლამენტში – „სალოცმანო სამსახურის საქმიანობის და ლოცმანის სერტიფიცირების წესის შესახებ“.

**მუხლი 4.**

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის მე-19 და მე-20 ნაწილებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე–15 დღეს.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-19 და მე-20 ნაწილები ამოქმედდეს 2016 წლის პირველი იანვრიდან.

*საქართველოს პრეზიდენტი* *გ. მარგველაშვილი*

**განმარტებითი ბარათი**

**საქართველოს კანონის პროექტზე**

**„საქართველოს საზღვაო კოდექსი ცვლილების შეტანის შესახებ"**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

საქართველოს საზღვაო კოდექსი ძალაში შევიდა 1997 წელს, თუმცა მას შემდეგ საზღვაო კოდექსის მნიშვნელოვანი რევიზია არ განხორციელებულა, გარდა 2012 წელს შეტანილი ცვლილებებისა, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების რეგისტრაციის გამკაცრებული პირობები და საქართველოს გემების ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი საკლასიფიკაციო საზოგადოებების აღიარებისა და მათი მონიტორინგის წესები.

აღსანიშნია, რომ საქართველოს საზღვაო კოდექსში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემა, ზღვაში ჩაძირული ქონება და სალოცმანო სამსახურის ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგება მეტწილად ასახავს წარსულ რეალობას და ამოვარდნილია იმ სამართლებრივი ჩარჩოებიდან, რომლებიც წლების განმავლობაში მიღებულ სხვა საკანონმდებლო აქტებს ან ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს აღარ შეესაბამება. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია, სწორედ აღნიშნული ხარვეზების აღმოხვრა და რიგი საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც შესაბამისობაში იქნება, პირველ რიგში, ამ სფეროში ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია საქართველოს საზღვაო კოდექსის დებულებების შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე რეალობასთან და იმ საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საზღვაო ტრანსპორტის დარგის სწორ, ეფექტიან და სწრაფ განვითარებას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი კანონის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

***1. კოდექსის მე-9 მუხლის „ბ" პუნქტით*** განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომ ტექსტში „სააგენტო") საზღვაო კოდექსით განსაზღვრული მანდატი. დღესდღეობით არსებული ჩანაწერი იკითხება შემდეგნაირად: სააგენტო „ბ) ქმნის მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების ერთიან სისტემას;", რაც ტერმინოლოგიურად არ შეესაბამება საქართველოს კანონის მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ დამკვიდრებულ თანამედროვე ტერმინოლოგიას, კერძოდ, სიტყვები ***„მომზადება" და „დიპლომირება"*** წარმოადგენს

ამავე სიტყვების რუსული თარგმანის შესატყვის ვარიანტს, თუმცა ზემოხსენებული საქართველოს კანონით განსაზღვრულია ახალი ტერმინები *„განათლება“ და „სერტიფიცირება“,* რამდენადაც ისინი სრულად შეესაბამება არსებულ საკანონმდებლო რეალობას. კერძოდ, ხორციელდება მეზღვაურთა სერტიფიცირება და არა დიპლომირება და გაიცემა მეზღვაურის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რაც მეზღვაურთა სამუშაო ბაზარზე დაშვების წინაპირობაა.

***2. კოდექსის მოქმედი მე-14 მუხლის მე-4 ნაწილით*** განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემის ***გემთმფლობელის ვალდებულებები.*** კერძოდ,

„4. გემთმფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) გემის ზღვაოსნობაუნარიანობა და ნაოსნობის უსაფრთხოება;
ბ) ადამიანის, გემისა და ტვირთის დაზიანების თავიდან აცილება;
გ) გემის ტექნიკური გამართულობა;
დ) ეკიპაჟის წევრებისათვის შრომის უსაფრთხო პირობები;
ე) გემის სურსათ-სანოვაგით, წყლითა და საპოხ-საცხები და საწვავი მასალით მომარაგება;
ვ) გემის ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.“

მიგვაჩნია, რომ ამომწურავი ჩამონათვალის არსებული ფორმით დატოვებამ შესაძლოა გემთმფლობელს გაუჩინოს არასწორი მოლოდინი, რომ მას მხოლოდ ჩამოთვლილი ვალდებულებები აკისრია. თუმცა, საზღვაო სფეროს განუყოფელი ნაწილია მუდმივი განვითარება და ახალი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შემოღება, რომელიც შესაძლოა ამომწურავი ფორმით დადგენილ ვალდებულებებში არ იყოს მითითებული. სწორედ აღნიშნულის გამო, ცვლილების პროექტი ასევე შეიცავს ზოგად საკანონმდებლო დანაწესს შემდეგი ფორმით: ***„საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.“,*** რაც სხვა ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში გამორიცხავს გაუგებრობას.

***3. კოდექსის II თავი*** ადგენს საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ გემის რეგისტრაციის პირობებს. ***28-ე მუხლის შესაბამისად*** კი, განმარტებულია ამ თავის მიზნებისათვის საჭირო ტერმინები. თუმცა, საზღვაო სფეროს სპეციფიკიდან და ინდუსტრიის პრაქტიკიდან გამომდინარე, საჭიროა ტერმინის ***„აღიარებული აგენტის“ განმარტება, რომელიც ცვლილების დოკუმენტის მიხედვით არის „პირი/ორგანიზაცია, რომელიც სააგენტოსთან წერილობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენს სააგენტოს გემთმფლობელებთან ურთიერთობაში.“.*** იმის გამო, რომ საქართველოს დროშის ქვეშ შესაძლოა დარეგისტრირდეს უცხოელი გემთმფლობელის საკუთრებაში არსებული გემი, საქართველო მიეკუთვნება ე.წ. „ღია დროშების“ კატეგორიას, რომელთა მთავარ სპეციფიკასაც წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნაციონალური/ეროვნული ნიშნით არ არის შეზღუდული სახელმწიფო დროშის ქვეშ რეგისტრირებული გემები. სწორედ ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს დროშის ქვეშ შესაძლოა დარეგისტრირებული იყოს ნებისმიერი გემი, რომელიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ხოლო გემთმფლობელის/გემთმფლობელი კომპანიის საცხოვრებელი

ადგილი ან გემის გეოგრაფიული სავაჭრო არეალი სცილდებოდეს საქართველოს საზღვრებს. გემთმფლობელთა კომფორტული მომსახურების მიზნით, სააგენტოს, ისევე როგორც სხვა ღია დროშის სახელმწიფოებს (მალტა, კვიპროსი, პანამა, მარშალის კუნძულები, ლიბერია და სხვ.) ***გააჩნია აგენტთა ქსელი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, თუმცა აღიარებული აგენტის ცნება საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრული დღემდე არ არის.*** შესაბამისად, ცვლილების მიზანია, ხსენებული ტერმინის საქართველოს საზღვაო კოდექსის დონეზე განმარტება.

***4. კოდექსის 30-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად,*** საქართველოს დროშის ქვეშ დასარეგისტრირებელ გემზე, როგორც წესი რეგისტრაციის დასრულებამდე გაიცემა ***დროებითი რეგისტრაციის მოწმობა*** (Provisional Certificate of Registry), რომელიც გემს ანიჭებს უფლება ისარგებლოს ქართული დროშით. თუმცა კოდექსის მოქმედი რედაქციით, ***აღნიშნულის ვადად დადგენილია 6 თვე, ერთ წლამდე გახანგრძლივების შესაძლებლობით,*** რაც გამორიცხავს ისეთი გემის დარეგისტრირებას, რომელიც 6 თვეზე მოკლე ვადაში განახორციელებს ყველა საჭირო დოკუმენტისა და დროშის სახელმწიფო მოთხოვნის დაკამყოფილებას. შესაბამისად, დღესდღეობით მოქმედი რედაქცია მიზანშეწონილია შეიცვალოს შემდეგნაირად – ***„დროებითი რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება გაიცეს მუდმივ ან ვადიან რეგისტრაციამდე, არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადით, 1 წლამდე გახანგრძლივების შესაძლებლობით.“***

***5. კოდექსის 31-ე მუხლის მოქმედი რედაქციით*** ამომწურავადაა დადგენილი იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც მთავარი რეგისტრატორის მხრიდან უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, შეუძლიათ განახორციელონ გემის რეგისტრაცია სახელმწიფო დროშის ქვეშ. თუმცა, აღნიშნული რეგისტრაციის უფლებამოსილების დელეგირება არ ითვალისწინებს აღიარებულ გემის სარეგისტრაციო აგენტს, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ***სააგენტომ, 2015 წლიდან დაიწყო სპეციალური პროექტის განხორციელება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“ ერთად, რომლის მიზანიცაა საქართველოს გემების ახალი სახელმწიფო სრულიად ელექტრონული სისტემის შექმნა და მოდერნიზაცია გადაწყვეტილების მიღების ეფექტური ადმინისტრირების კუთხით.*** აღნიშნული მოიცავს რამდენიმე საფეხურიან სისტემას. ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღიარებულ აგენტს მიეცემა მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მეშვეობითაც სააგენტოს მხრიდან დადასტურების შემთხვევაში, ***საქართველოს სახელით გაიცემა შესაბამისი გემის დროებითი რეგისტრაციის მოწმობა ელექტრონული ფორმით.***

***6. კოდექსის 35 მუხლის მე-6 ნაწილი*** ადგენს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში ზერბოუტ-ჩარტერის (გემის უეკიპაჟო დაფრახტვა/დაქირავება) რეგისტრაციის მოწმობის გაცემის წესს. ***აღნიშნული ნაწილი ადგენს, რომ მოწმობის ვადა განისაზღვრება ბერბოუტ-ჩარტერის ხელშეკრულების მოქმედების ვადით ან გემის სხვა ქვეყნის სათანადო რეესტრში რეგისტრაციის შეჩერების ვადის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 2 წლისა,*** რაც თავისთავად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გემი, რომელსაც სხვა ქვეყნის გემების რეესტრში ორ წელზე მეტი ხნით აქვს რეგისტრაცია შეჩერებული დარეგისტრირდეს ბერბოუტ-ჩარტერის გემების წიგნში. ხსენებული შეზღუდვა ქმნის გაუმართლებელ ბარიერს ქართული დროშის ქვეშ უეკიპაჟოდ დაფრახტული გემების მოსაზიდად, რაც როგორც კომერციული, ისე

პრაქტიკული თვალსაზრისით ქართულ დროშას აყენებს არაკონკურენტულ პირობებში სხვა ღია დროშებთან, რომლებშიც მსგავსი შეზღუდვა არ არსებობს. შემოთავაზებული პროექტით ორ წლიანი შეზღუდვა მოიხსნება.

***7. კოდექსის 36-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია,*** რომ „3. გემის რეგისტრაციიდან მოხსნის საფუძვლებია: ა) გემთმფლობელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ გემის რეგისტრაციის შეწყვეტის მოთხოვნა;“ ამ შემთხვევაში ***„რეგისტრაციის შეწყვეტა“ და „რეგისტრაციიდან მოხსნა“ სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება.*** რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია ამავე მუხლის მეოთხე ნაწილით. ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, ტერმინოლოგიის აღრევის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა შემოთავაზებული ცვლილების განხორციელება შემდეგი ფორმით – „ა) გემთმფლობელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მოთხოვნა;“.

***8. კოდექსის 36-ე მუხლის მე-8 ნაწილი*** განსაზღვრავს, რომ ***„პატარა გემის*** რეგისტრაციიდან მოხსნის/რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) გემის დაღუპვა;
ბ) გემთმფლობელის წერილობითი განცხადება;
გ) გემთმფლობელის შეცვლა.“ - აღნიშნული ნაწილი იმეორებს ამავე მუხლში არსებული ზოგადად ***გემის რეგისტრაციიდან მოხსნის/რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძვლებს,*** რაც თავისმხრივ საჭიროებას არ წარმოადგენს. კანონის პროექტით განსაზღვრულია 36-ე მუხლის მე-8 ნაწილის ამოღება და სწორდება ტექნიკური თვალსაზრისით.
***9. კოდექსის მე-40 მხულის მე-5 ნაწილი*** განსაზღვრავს, რომ „5. სააგენტოს შეუძლია, ამ კოდექსის II[1] თავით გათვალისწინებულ ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციასთან შეთანხმებით, გასცეს ერთჯერადი ნაოსნობის უფლება ***საერთაშორისო ნაოსნობის*** განსახორციელებლად იმ გემზე, რომელიც ჩართულია ***სანაპირო ნაოსნობაში,*** თუ ასეთი ნაოსნობის მიზანია გემის მიმდინარე და სავალდებულო სარემონტო სამუშაოების ჩატარება.“. აღსანიშნავია, რომ ***სანაპირო ნაოსნობა,*** საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესაბამისად, წარმოადგენს ისეთ ნაოსნობას, რომელიც შესაძლოა ტერიტორიული ზღვის ფარგლებიდან გასვლის გარეშე განახორციელოს გემმა ორ ან მეტ სახელმწიფო შორის, რაც ქმნის იმის საფრთხეს, *რომ მხოლოდ შიდა ნაოსნობის გემების ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციის ან გემთმფლობელის მიერ განმარტებულ იქნეს ისე, რომ გემს, რომელსაც მინიჭებული აქვს მხოლოდ შიდა სანაოსნო სტატუსი სანაპირო ნაოსნობის გზით განახორციელოს საერთაშორისო ნაოსნობაც, რაც შემოთავაზებული ცვლილების პროექტით გამოირიცხება* ***ტერმინის „სანაპირო“ ტერმინით „შიდა“*** *შეცვლით და უფრო მკაფიოდ ადგენს სანებართვო რეჟიმში ერთჯერადი გადასვლის უფლების განხორციელებას შიდა ნაოსნობის გემებისათვის (Single voyage permit).*

***10. კოდექსის 44[1] მუხლის “ო“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქცია*** ითვალისწინებს, იმ წესებსა და პროცედურებს, რომელთაც საკლასიფიკაციო საზოგადოება იყენებს საქართველოს გემების ტექნიკური ზედამხედველობის პროცესში, თუმცა კოდექსი არ ითვალისწინებს ასეთი წესებისა და პროცედურების სააგენტოსთან შეთანხმების ვალდებულებას. ხსენებული საკანონმდებლო დანაწესის აუცილებლობა განპირობებულია საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის 1982 წლის კონვენციის 94-ე მუხლით გათვალისწინებული დროშის სახელმწიფო ვალდებულებების ეფექტურად განხორციელების ვალდებულებით. ***შესაბამისად, კოდექსის შემოთავაზებული ცვლილება ითვალისწინებს სააგენტოსთან შეთანხმების ვალდებულებას.***

***11. კოდექსის $44^1$ მუხლის „უ“ ქვეპუნქტი*** მითითებას აკეთებს IMO- ს A.847 (20) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1997 წლის 27 ნოემბრის რეზოლუცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტების იმპლემენტაციისათვის დროშის სახელმწიფოს დასახმარებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს შესახებ, დანართისა და დამატება 1-ის ჩათვლით, რომელიც ***შეცვლილია ახალი რეზოლუციით,*** კერძოდ, IMO-ს A.1070(28) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2013 წლის 04 დეკემბრის რეზოლუცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტების იმპლემენტაციისათვის დროშის სახელმწიფოს დასახმარებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს შესახებ;“ შესაბამისად, ხსენებული საკანონმდებლო ხარვეზიც საჭიროებს გამოსწორებას.

***12. კოდექსის $44^2$ მუხლის „უ“ ქვეპუნქტი*** მითითებას აკეთებს IMO- ს A.847 (20) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1997 წლის 27 ნოემბრის რეზოლუცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტების იმპლემენტაციისათვის დროშის სახელმწიფოს დასახმარებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს შესახებ, დანართისა და დამატება 1-ის ჩათვლით, რომელიც ***შეცვლილია ახალი რეზოლუციით,*** კერძოდ, IMO-ს A.1070(28) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2013 წლის 04 დეკემბრის რეზოლუცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტების იმპლემენტაციისათვის დროშის სახელმწიფოს დასახმარებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს შესახებ;“ შესაბამისად, ხსენებული საკანონმდებლო ხარვეზიც საჭიროებს გამოსწორებას.

***13. კოდექსის 45-ე, 47-ე, 63-ე, 64-ე და 68-ე მუხლები*** საჭიროებს თანამედროვე საკანონმდებლო რეალობასთან მორგებას, რამდენადაც ხსენებული მუხლებით განსაზღვრული დებულებები მოძველებულია და მოკლებულია რეალობას. ასე მაგალითად, 45-ე, 47-ე, 63-ე და 64-ე მუხლებით გათვალისწინებული საკითხები დარეგულირებულია „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე ამავე კანონთან შესაბამისობაში მოდის მეთაურთა შემადგენლობის არსებული მოძველებული განმარტება. შესაბამისად, ხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილებები.

***14. კოდექსის ცვლილების შემოთავაზებული პროექტი ასევე ითვალისწინებს საზღვაო კოდექსის 70-ე მუხლის ცვლილებას და სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ყველა საზღვაო ნავსადგურში გემების მოძრაობის მომსახურის სისტემის შექმნას (VTS).***

VTS სისტემის ზოგადი დანიშნულებაა გემების მოძრაობის მონაცემთა უკეთესი შეგროვება, მათ შორის:

- უფრო ეფექტური მონაცემთა მართვა;
- უფრო ეფექტური მონაცემთა მიწოდება გემისათვის;

- ნაოსნობის უსაფრთხოების ხარისხის უკეთესი მართვა;
- ინფორმაციის ეფექტური გაცვლა, მეზღვაურებზე ადმინისტრაციული ვალდებულებების მაქსიმალურად შესამცირებლად და ლოჯისტიკური კუთხით და
- საზღვაო-სამაშველო ოპერაციების განხორციელების ხელშეწყობა ინფორმაციის გაცვლის უკეთესი მეთოდოლოგიის დანერგვის გზით.

საერთაშორისო ორგანიზაციები და ამ ორგანიზაციების ფარგლებში მიღებული მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები, რომელთა მოთხოვნები ვრცელდება VTS სისტემაზე:

- ევროკავშირი (EU);
- საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO);
- IMO Resolution A.857 (20) (27.11.1997).
- ზღვაზე სიცოცხლის დაცვის შესახებ კონვენცია SOLAS – Chapter V, Regulation 12.
- შუქურის სამსახურების და საზღვაო სანავიგაციო საშუალებების საერთაშორისო ასოციაცია (IALA) Recommendation V-103;
- საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში მოხსენებათა სისტემა (GEOREP) IMO №SN/Circ. 230. 20.06.2003.

აქვე, აღსანიშნია, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ***დანართი XV-D ითვალისწინებს საზღვაო ტრანსპორტის სფეროში არსებული ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების ჩამონათვალს, რომელთა საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვალდებულება საქართველომ აიღო.*** ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულია - 16 დირექტივისა და 6 რეგულაციის იმპლემენტაცია საზღვაო ტრანსპორტის სფეროში. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დირექტივაა: ***Directive 2002/59/EC of the European Parliament and of the Council of 27 June 2002 establishing a Community vessel traffic monitoring and information system*** - დირექტივა ითვალისწინებს ევროკავშირის მასშტაბით გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემის შექმნას. დირექტივა ეხება ყველა გემს, რომელიც არის 300 ან 300 რეგისტრულ ტონაზე მეტი და მიუხედავად იმისა, გადააქვს თუ არ გადააქვს სახიფათო ტვირთები. დირექტივის შესაბამისად ევროკავშირის ნავსადგურებში შემსვლელი ყველა გემი ვალდებულია წინასწარ ინციდენტების/საზღვაო შემთხვევების პრევენციისა და საზღვაო მიმოსვლის გასამარტივებლად წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია ნავსადგურის სახელმწიფოს გემის პოზიციის, გადასატანი ტვირთის და ა.შ. შესახებ, რომელზეც შემუშავებულია სპეციალური შეტყობინების ფორმა.

*წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, საზღვაო კოდექსით განხორციელდება აღნიშნული დირექტივის იმპლემენტაცია ქართულ სინამდვილეში.* ტერმინი "ტერიტორიული ზღვა" ეს არის 12 მილი ნაპირიდან (საწყისი ხაზებიდან). ცვლილების მიზანია შეიქმნას უფრო დახვეწილი სისტემა - Vessel Traffic Monitoring and Information System (VTMIS), რომელსაც როგორც ეკონომიკური ასევე სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება ქვეყნისათვის. *აღნიშნული სისტემა საქართველოს საშუალებას მისცემს შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ რაიონში განახორციელოს გემების მოძრაობის ეფექტური კონტროლი, გემების საინფორმაციო მომსახურება, ნავიგაციური დახმარება, მოძრაობის ორგანიზება და აღნიშნულ მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება, ასევე საჭიროების შემთხვევაში ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა ზღვაში და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება.*

ცვლილების მიღების შემთხვევაში, საჭირო იქნება სააგენტოს დირექტორის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და კონკრეტული ტექნიკური დეტალების დადგენა, ასევე შეტყობინების სისტემაში მონაწილეობის პირობების განსაზღვრა.

*15. კოდექსის მოქმედი რედაქციის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი* ადგენს ნავსადგურის ვალდებულებებს, კერძოდ: საზღვაო ნავსადგური ნაოსნობის უსაფრთხოებისა და ნავსადგურში მომსახურების დადგენილ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პასუხისმგებელია: ა) ნავმისადგომებთან და *რეიდზე* გემების უსაფრთხო დგომაზე;". აღნიშნული პუნქტი არ ასახავს დღევანდელი რეალობას. კერძოდ, წლების წინ ნავსადგურს მართლაც გააჩნდა ვალდებულება აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მანამ, სანამ ნავსადგურების პრივატიზაცია ან იჯარით გაცემა განხორციელდებოდა. ვინაიდან, საზღვაო კოდექსის, ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ საქართველოს კანონის და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, საზღვაო უსაფრთხოებაზე ექსკლუზიურ კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო, შესაბამისად, კოდექსში არსებული ჩანაწერი მოძველებულია და საჭიროებს შეცვლას შემდეგი ფორმით: *„ნავმისადგომებთან გემების უსაფრთხო დგომის პირობები;"* ვინაიდან ნავსადგურის უფლებამოსილება საზღვაო უსაფრთხოების კუთხით სრულდება *ნავმისადგომთან და არა საღუზე წერტილებზე ან გარე რეიდზე დაყენებულ გემებზე, რომელზე კონტროლსაც ახორციელებს სააგენტო საკუთარი სტრუქტურული ერთეული საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტისა და ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის სამსახურის მეშვეობით.*

*16. კოდექსის VI თავი ადგენს საზღვაო ნავსადგურებში და მის მისასვლელებზე სავალდებულო სალოცმანო გაცილების წესსა და პირობებს.*

საზღვაო სალოცმანო სამსახური წარმოადგენს სანაოსნო ურთიერთობას, რომელსაც ადგილი აქვს საზღვაო ლოცმანების მიერ ნავსადგურების მისასვლელებთან, ნავსადგურების შიგა წყლების ფარგლებში, ასევე ნავსადგურებს შორის გემების გაცილებისას. სალოცმანო გაცილებისას, ლოცმანი ადის გემზე და შემოჰყავს/გაჰყავს გემი ნავსადგურში/ნავსადგურიდან. გარკვეული გამონაკლისების გარდა, გემი ვერ შემოვა ნავსადგურში ლოცმანის გარეშე. ინფორმაციისათვის, ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 4 სალოცმანო კომპანია. ერთი ყულევის ნავსადგურში, 2 ბათუმის ნავსადგურში და 1 ფოთის საზღვაო ნავსადგურში.

სალოცმანო სამსახური ყალიბდება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ან საწარმოს სტრუქტურული ერთეულის სახით.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უფლებამოსილება სალოცმანო სამსახურების მიმართ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ახორციელებს სალოცმანო სამსახურის და ლოცმანის მიერ სალოცმანო მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს, მათ შორის სალოცმანო სამსახურის და ლოცმანის სერტიფიცირება, სტაჟიორის (ლოცმანის) მოწმობის გაცემა, სერტიფიკატების გაუქმება.

სააგენტო არ არის უფლებამოსილი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაერიოს სალოცმანო საფასურის განსაზღვრაში, ასევე პორტსა და სალოცმანო სამსახურს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა–ჩამოყალიბებაში.

სავალდებულო სალოცმანო გაცილება - საერთაშორისო საზღვაო პრაქტიკა იცნობს სანაოსნო რაიონებს სადაც სავალდებულოა სალოცმანო გაცილება. ასეთ შემთხვევაში გემის კაპიტანს ეკისრება ვალდებულება, ასეთ რაიონში ნაოსნობისას ისარგებლოს ლოცმანის მომსახურებით.

საქართველოში ყველა ნავსადგურში სავალდებულოა სალოცმანო გაცილებით სარგებლობა შემდეგი გამონაკლისების გათვალისწინებით:

ა) სამხედრო-საზღვაო გემისათვის;
ბ) 500 ტონა და ნაკლები საერთო ტევადობის გემისათვის;
გ) რეგულარულ ხაზებზე მომუშავე სამგზავრო კატარღისათვის;
დ) დასაღრმავებელი სამუშაოების განმხორციელებელი გემისათვის.

ლოცმანის პასუხისმგებლობის საკითხი - სალოცმანო გაცილებისას მომხდარ ინციდენტზე პასუხისმგებლობა კაპიტანს ეკისრება, თუმცა თუ ინციდენტი მოხდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ლოცმანის მიზეზით, სალოცმანო სამსახურს შესაძლებელია, რომ დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

თითოეულ ხომალდს ესაჭიროება სალოცმანო გაცილება როგორც ნავსადგურში შესვლისას ასევე ნავსადგურიდან გასვლისას.

დღეს სამართლებრივ დონეზე არ არის სრულყოფილად გაწერილი, თუ როგორ ხდება *ამ სტრატეგიულ დარგში ახალი ლოცმანების მომზადების პროცესი, მათი სტაჟირება, კადრების ცვლა, უწყვეტობა და რეზერვის შექმნა.*

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეული ინციდენტი შეიძლება გახდეს ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფის მიზეზი, რომლის შედეგების ლიკვიდაციას დასჭირდება მრავალი წელი და ძალიან დიდი დანახარჯები.

ასევე დღეს პრობლემას წარმოადგენს, სალოცმანო მომსახურებისათვის დაწესებულ საფასურზე სახელმწიფო კონტროლის არარსებობა. სალოცმანო სამსახურს ნებისმიერ დროს შეუძლია გაუმართლებლად ასწიოს მომსახურების ფასი, რამაც შესაძლოა ასევე გამოიწვევს ნავსადგურის ბლოკირება ან გემების ნაკადის შემცირება, რაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკაზე სავალალოდ აისახება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აუცილებელია სალოცმანო სამსახურებზე სახელმწიფო კონტროლის უფრო მეტად გაძლიერება.

აღსანიშნია, რომ საზღვაო უსაფრთხოება სწორედ სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესის მონაწილედ გვევლინებიან კერძო კომპანიები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ორიენტირებულნი არიან ფინანსური მოგების მიღებაზე, ხოლო საზღვაო უსაფრთხოების ინტერესი, რომელიც მნიშვნელოვანი სახელმწიფოსათვის, როგორც მინიმუმ ქართული ნავსადგურების საიმედოობის და უსაფრთხოების კუთხით, ხშირ შემთხვევაში სრულიად იგნორირებულია. იმ შემთხვევაში როდესაც, სახელმწიფო ახორციელებს ასეთი მნიშვნელოვანი სფეროს განკერძოებას და უფლებამოსილების კერძო კომპანიებისათვის დათმობას, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მათივე კონტროლის ეფექტური მექანიზმები, რაც დღემდე სახელმწიფოს არ გააჩნია. ამის დასტურია, სალოცმანო კომპანიების მუდმივი წინააღმდეგობა ისეთ ელემენტარულ საკითხებზეც კი, როგორიცაა შესაბამისი სალოცმანო კატარღის ქონა, რომელსაც კატარღაზე ბევრად დიდ გემთან პირდაპირი კონტაქტის ვალდებულება აქვს და ეს კონტაქტი სრულიად უსაფრთხო უნდა იყოს, რასაც ვერ უზრუნველყოფს ჩვეულებრივი კატარღა, რომელიც არ არის აშენებული როგორც სალოცმანო კატარღა ან სრულიად არ შეესაბამება ასეთი ტიპის კატარღის მიმართ წაყენებულ ტექნიკურ მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და საკანონმდებლო დონეზე პრობლემის მოსაგვარებლად, შემოთავაზებული ცვლილების პროექტი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- სალოცმანო მომსახურებისა და ლოცმან-სტაჟიორების სტაჟირების საფასურების ზედა ზღვარის განსაზღვრა საქართველოს მთავრობის მიერ, რაც უშუალოდ და პირდაპირ უკავშირდება საქართველოს ნავსადგურების კონკურენტუნარიანობას;

- ლოცმანობის კანდიდატის სტაჟირების პირობები, რომელიც უნდა უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;

- სალოცმანო კატარღის მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები. მაგ. აუცილებელია სალოცმანო კატარღის ნავსადგურების მიხედვით რეგისტრაცია;

- ფორსმაჟორულ სიტუაციებში, სახელმწიფოს უფლებამოსილება, დანიშნოს სახელმწიფო ლოცმანი შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე, კერძოდ, სააგენტოს უფლებამოსილება დანიშნოს სახელმწიფო ლოცმანი ან შესაბამისად კომპეტენტური პირი (რომელიც, სერტიფიცირებული ლოცმანის მიერ მითითების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, შეირჩევა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შესაბამისი რისკის ანალიზისა და დარგის პროფესიონალების რეკომენდაციით). ეს საკითხი მართალია გარკვეულ დონეზე უკვე დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტით, თუმცა მიზანშეწონილია მისი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებაც.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ზემოაღნიშული ცვლილებები განპირობებული იქნა პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხების არსებობით, მაგ. ნავსადგურების მიერ სალოცმანო კომპანიებთან ხელშეკრულების არგაფორმებით, ან სალოცმანო კომპანიების მიერ, გაურკვეველი მიზეზების გამო სალოცმანო გაცილების წარმოებაზე უარის თქმით, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს და შეფერხებები გამოიწვიოს ნავსადგურების მუშაობაში. ლოცმანის ინტერესი სერტიფიცირების პროცესშივე უნდა იყოს საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

*17. ცვლილების პროექტი ასევე ითვალისწინებს კოდექსის 106-110, ასევე 113-ე მუხლების განახლებულ რედაქციას.* ეს ცვლილება ემსახურება იმ საკანონმდებლო

ხარვეზების აღმოფხვრას, რომელიც უკავშირდება *ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებას.*

კოდექსის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, მაგალითად, დღეს გაუგებარია ვის უნდა მიმართოს ლიცენზიანტმა გაწეული ხარჯის ანაზღაურების მიზნით. ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირ შემთხვევაში ამოღების ხარჯებს ამოღებული ქონების რეალიზაცია ვერ ფარავს, ამოღების ტექნოლოგიების სიძვირის გათვალისწინებით და ასევე არსებობს სხვა ტექნიკური საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ამ პროცესთან და საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

კოდექსს ემატება დებულებები და ფართოვდება ნავსადგურის უფლებამოსილებანი ნავსადგურის აკვატორიაში, ნავსადგურის ასევე სახელმწიფო კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე ჩაძირული ქონების ამოღების გამარტივებული წესის შემოღების გზით. ასევე პირველად განისაზღვრება, *რომ ჩაძირულ ქონებად არ მიიჩნევა ის ქონება, რომელიც საქართველოს ნავსადგურში სატვირთო ოპერაციებისა და სანავსადგურო ინფრასტრუქტურაზე სარემონტო სამუშაოების წარმოებისას შემთხვევით ჩაიძირა ნავსადგურის აკვატორიაში. ასეთი ქონების ამოღებასა და რეალიზაციას აწარმოებს უშუალოდ ნავსადგური, საკუთარი ხარჯებით.*

*18. კოდექსის მოქმედ 153-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე:* „4. საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში მიმღების მიერ ტვირთის მიღება-შენახვის წესები და ვადა, აგრეთვე მიმღების მიერ მოუკითხავი ტვირთის გაყიდვა ხდება სააგენტოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.“ აღნიშნული საკითხი სააგენტოს ტექნიკური რეგულირების სფეროს სცილდება და შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული უფლებამოსილების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის.

19. კოდექსის მე-5, მე-15, 47-ე, 226-ე და 321 მუხლები იცვლება და ტერმინი „ალამი“ იცვლება ტერმინით „დროშა“, როგორც საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინი.

*20.* კანონის პროექტი შეიცავს რამდენიმე *გარდამავალ დებულებას,* კერძოდ: *გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემის შექმნასთან დაკავშირებული დებულებები* (გათვალისწინებული ცვლილების პროექტის პირველი მუხლის მე-18 და მე-19 ნაწილებით) *ძალაში შევა 2016 წლის იანვრიდან,* აუცილებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხების მოწესრიგების უზრუნველსაყოფად.

კანონის ამოქმედებად განსაზღვრულია გამოქვეყნებიდან მე–15 დღე.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება საჭიროებს დამატებით დაფინანსებას, გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემის დასანერგად. აღნიშნული განხორციელდება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შემოსავლებიდან.

სააგენტოს დაემატება თითო ნავსადგურზე 4 ოპერატორი, ვინაიდან სამუშაო განსახორციელებელია ცვლაში შრომის კოდექსის პირობების დასაცავად ოპერატორებს მოუწევთ ცვლით მუშაობა, საერთო ჯამში საჭირო იქნება 12 VTS ოპერატორი, ასევე 1 ტექნიკური პერსონალი და 1 ხელმძღვანელი, რომელიც სამსახურის ფორმით ჩამოყალიბდება სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტში.

რაც შეეხება პერსონალის ანაზღაურების საკითხს, აღსანიშნია, რომ სისტემის დანერგვის შემდეგ დადგინდება საფასური, რომლის შესაბამისადაც სისტემაში მონაწილეობის საფასურს გადაიხდიან გემთმფლობელები, შესაბამისად სააგენტოს შემოსავლების გაზრდის შედეგად გაიზრდება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ბიუჯეტიც, რომლიდანაც დაფინანსდება როგორც სისტემის მომსახურებისა და შემდგომი გაუმჯობესების ხარჯები, ასევე დადგინდება სახელფასო ფონდიც დამტიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ის გავრცელდება. კანონპროექტის შესაბამისად, სააგენტოს მომსახურებების საფასურებს დაემატება გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემის საფასური, რომლის გადახდის ვალდებულებაც გავრცელდება სისტემაში მონაწილე გემებზე.

ასევე, ცვლილების პროექტით განისაზღვრება სალოცმანო მომსახურების ტარიფებისა და ლოცმან-სტაჟიორის სტაჟირების საფასურის ზედა ზღვარის დაწესების ვალდებულება საქართველოს მთავრობის მიერ, რომელიც თავის მხრივ, დააწესებს

ხსენებულ ზედა ზღვარს. მოქმედ სალოცმანო კომპანიებს მოუწევთ, ხელახლა დაამტკიცონ მათი მომსახურების ტარიფები.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს. თუმცა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საფასურის წესში განისაზღვრება VTS სისტემაში მონაწილეობის საფასური, კანონპროექტის ამოქმედებისთანავე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი - სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო".

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.

**იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება**

**მუხლი 5**

საქართველოს ნავსადგურებს შორის გადაზიდვა და ბუქსირზიდვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემით. უცხო ქვეყნის გემს საქართველოს ნავსადგურებს შორის სამუშაოს შესრულება შეუძლია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

**მუხლი 9**

სააგენტო:

ა) საქართველოს სახელით ახორციელებს დროშის სახელმწიფო კონტროლსა და საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

ბ) ქმნის მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების ერთიან სისტემას;

გ) ხელმძღვანელობს საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრს და ახორციელებს ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისა და ზღვის დაბინძურების ლიკვიდაციის ორგანიზების სახელმწიფო ზედამხედველობას;

დ) ახორციელებს ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

საქართველოს 2000 წლის 13 ივლისის კანონი №490-სსმI, №28, 24.07.2000წ., მუხ.87

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

**მუხლი 14**

1. გემთმფლობელად იწოდება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განაგებს გემს, განურჩევლად იმისა, გემის მესაკუთრეა, თუ სარგებლობს ამ გემით სხვა რომელიმე კანონიერ საფუძველზე.

2. გემის მესაკუთრეა სახელმწიფო, ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მარეგისტრირებელი სახელმწიფოს გემების რეესტრში შეტანილია როგორც გემის მესაკუთრე, თუ არ არსებობს პირდაპირი მითითება სხვა რამეზე.

3. ყოველ სანაოსნო კომპანიას ჰყავს მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია ზღვაოსნობის უსაფრთხოებასა და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებაზე.

4. გემთმფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გემის ზღვაოსნობაუნარიანობა და ნაოსნობის უსაფრთხოება;

ბ) ადამიანის, გემისა და ტვირთის დაზიანების თავიდან აცილება;

გ) გემის ტექნიკური გამართულობა;

დ) ეკიპაჟის წევრებისათვის შრომის უსაფრთხო პირობები;

ე) გემის სურსათ-სანოვაგით, წყლითა და საპოხ-საცხები და საწვავი მასალით მომარაგება;

ვ) გემის ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

საქართველოს 2000 წლის 13 ივლისის კანონი №490-სსმI, №28, 24.07.2000წ., მუხ.87

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

**მუხლი 15**

კოდექსში აღნიშნული ტერმინები, რომლებიც მითითებულია ქვემოთ მოყვანილ თავებში, გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:
ა) (ამოღებულია – 05.06.2012, №6386);
ა1 ) III1 თავში – „საკრუინგო საქმიანობა“ – იგულისხმება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით შექმნილი იურიდიული პირის საშუამავლო საქმიანობა გემებზე მეზღვაურთა დასაქმების მიზნით;
ბ) IV თავში – „საზღვაო ნავსადგური“ – იგულისხმება საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგური, სამხედროს გარდა;
გ) V თავში – „საზღვაო ნავსადგურის კაპიტანი“ – იგულისხმება საქართველოს ყველა არასამხედრო ნავსადგურის კაპიტანი თევზჭერის ნავსადგურის კაპიტნის ჩათვლით;
დ) VI თავში – „საზღვაო სალოცმანო სამსახური“ – იგულისხმება სანაოსნო ურთიერთობა, რომელსაც ადგილი აქვს საქართვ ელოს სახელმწიფო საზღვაო ლოცმანების მიერ ნავსადგურების მისასვლელებთან, ნავსადგურების შიგა წყლების ფარგლებში, ასევე ნავსადგურებს შორის გემების გაცილებისას;
ე) VII თავში – „ზღვაში ჩაძირული ქონება“ – იგულისხმება საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ან შიგა წყლებში ჩაძირული, აგრეთვე მეჩხერ წყლებზე, კლდეებზე და სხვა ადგილებში გამორიყული გემი, მისი ნამსხვრევები, მოწყობილობანი, ტვირთი და სხვა;
ვ) XXI თავში – „გემთმფლობელის პასუხისმგებლობის ფარგლები“ - იგულისხმება გემთმფლობელი, რომელსაც ეკუთვნის საქართველოს სა ხელმწიფო ალმით მცურავი გემი.
უცხო ქვეყნის ალმით მცურავი ბირთვული გემების გემთმფლობელისა და ოპერატორის პასუხისმგებლობა განისაზღვრება გემის დროშის სახელმწიფოს კანონმდებლობით, მაგრამ თუ მისი ფარგლები ამ კოდექსისაზე დაბალია, მაშინ გამოიყენება ამ კოდექსის მოთხოვნები;

ზ) XXII თავში – „პრივ ილეგიური მოთხოვნები “ – იგულისხმება შემთხვევა, როდესაც დავა განიხილება საქართველოში;

თ) XXIII თავში – „საზღვაო პროტესტი“ – იგულისხმება შემთხვევა, როდესაც საზღვაო პროტესტი წარედგინება ნოტარიუსს და/ან საქართველოს შესაბამის პირს;

ი) XXIV თავში – „პრეტენზია და სარჩელი“ – იგულისხმება შემთხვევა, როდესაც შესაბამისი ურთიერთობები რეგულირდება ამ კოდექსით, ამასთან კოდექსის 364-ე და 374-ე მუხლების დებულებები ეხება მხოლოდ საქართველოში წარმოშობილ ურთიერთობებს;

კ) მხარეთა უფლება-მოვალეობანი ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების (თავი VIII), მგზავრთა საზღვაო გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის ხელშეკრულების (თავი IX), საზღვაო კრუიზის (თავი X), გემის გარკვეული ვადით დაქირავების (თავი XI), გემის უეკიპაჟოდ დაქირავების (თავი XII), საზღვაო იპოთეკის (თავი XIII), ბუქსირზიდვის ხელშეკრულების (თავი XIV) და საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების (თავი XV) მიხედვით განისაზღვრება გაფორმების ადგილის კანონით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6545 – ვებგვერდი, 04.07.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6546 – ვებგვერდი, 04.07.2012წ.

**მუხლი 28**

ამ თავის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა :

ა ) გემი :

ა . ა ) დიდი გემი – მცურავი საშუალება , რომლის რეგისტრული ტონა არის 100 ტონა ან 100 ტონაზე მეტი ;

ა . ბ ) პატარა გემი – მცურავი საშუალება , რომლის რეგისტრული ტონა არის 100 ტონაზე ნაკლები , გარდა ზომამცირე გემისა ;

ა . გ ) მშენებარე გემი – მშენებარე მცურავი საშუალება , რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია გემთმშენებლის მშენებარე გემის კორპუსის ნომრით ან სხვა რაიმე საშ უალებით;

ბ ) მთავარი რეგისტრატორი – სააგენტოს დირექტორი ;

გ ) რეგისტრატორი – პირი , რომელზედაც მთავარმა რეგისტრატორმა სააგენტოს მი ერ დადგენილი წესით მოახდინა თავისი უფლებამოსილებების დელეგირება ;

დ ) რეესტრი – საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი , რომელსაც აწარმოებს სააგენტო ;

ე ) გემის რეგისტრაციის შეჩერება – გემის რეგისტრაციის მოწმობის ან დროებითი რ ეგისტრაციის მოწმობის შეჩერება , რის საფუძველზედაც გემს ჩამოერთმევა საქართვე ლოს სახელმწიფო დროშით სარგებლობის უფლება ;

ვ ) გემის რეგისტრაციიდან მოხსნა – გემის რეესტრიდან ამოღება გემთმფლობელის ან სხვა უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე ;

ზ ) გემის რეგისტრაციის შეწყვეტა – გემის რეესტრიდან ამოღება მთავარი რეგისტრატორის გადაწყვეტილებით ;

თ ) რეგისტრაცია – გემის დროებითი , ვადიანი ან მუდმივი რეგისტრაცია :

თ . ა ) მუდმივი რეგისტრაცია – გემის რეესტრში განუსაზღვრელი ვადით რეგისტრაცია ;

თ . ბ ) ვადიანი რეგისტრაცია – გემის რეესტრში გარკვეული ვადით რეგისტრაცია გ ემთმფლობელის ან გემის ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე ;

თ . გ ) დროებითი რეგისტრაცია – გემის რეესტრში რეგისტრაცია ვადიან ან მუდმივ რეგისტრაციამდე , საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში .

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

**მუხლი 30**

1. გემის რეესტრში რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო , რომელიც გასცემს შესაბამის მოწმობებს .

2.სააგენტო აწარმოებს რეესტრს , ამტკიცებს გემის რეგისტრაციის, რეესტრის წარმო ებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესებს .

3.დროებითი რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება გაიცეს მუდმივ რეგისტრაციამდე, 6 (ექვსი ) თვის ვადით , 1 წლამდე გახანგრძლივების შესაძლებლობით .

4. ამ მუხლის მე - 3 ნაწილში მითითებული 1- წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ , განსაკუთრებულ შემ თხვევაში , გემთმფლობელის წერილობითი მიმართვის საფუძველზე , მთავარი რეგის ტრატორის თანხმობით , დროებითი რეგისტრაციის მოწმობის მოქმედების ვადა შეიძ ლება გახანგრძლივდეს , მაგრამ არა უმეტეს 1 (ერთი) წლისა . დროებითი რეგისტრაციის მოწმობა წარმოშობს იმავე უფლე ბებსა და მოვალეობებს , რომლებსაც მუდმივი რეგისტრაცია .

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

**მუხლი 31**

1.მთავარი რეგისტრატორი ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ გემის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ქმედებებს .

2.რეგისტრატორი გემის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროცედურებს ახორციელებს დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში .

3.მთავარ რეგისტრატორს გემის რეგისტრაციასთან დაკავშირებული უფლებამოსილების დელეგირება შეუძლია მოახდინოს მხოლოდ შემდეგ პირებზე :

ა ) სააგენტოს თანამშრომელზე – რეგისტრატორზე ;

ბ ) საქართველოს საჯარო მოსამსახურეზე ;

გ ) საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირზე ;

დ ) აღიარებულ ორგანიზაციაზე , ამ კოდექსის II 1 თავის შესაბამისად .

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

**მუხლი 35**

1. გემის რეესტრში რეგისტრაცია დასტურდება რეგისტრაციის მოწმობით .

2. რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება იყოს დროებითი , ვადიანი და მუდმივი .

3. დროებითი რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება გაიცეს ვადიან ან მუდმივ რეგისტრაციამდე .

4. პატარა გემის რეგისტრაცია არის მუდმივი და მისი შეჩერება , შეწყვეტა ან გემის რეგისტრაციიდან მოხსნა შესაძლებელია მხოლოდსაქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში .

5. დიდი გემის რეგისტრაციის მოწმობა ექვემდებარება ყოველწლიურ დამოწმებას .

6. ბერბოუტ-ჩარტერის რეგისტრაცია დასტურდება ვადიანი რეგისტრაციის მოწმობით , რომლის ვადა განისაზღვრება ბერბოუტ-ჩარტერის ხელშეკრულების მოქმედების ვადით ან გემის სხვა ქვეყნის სათანადო რეესტრში რეგისტრაციის შეჩერების ვადის შესაბამისად ,მაგრამ არა უმეტეს 2 წლისა .

7.გემს აქვს სახელი , რომელსაც მას ანიჭებს მესაკუთრე და რომელიც შეიძლება შეიცვალოს გემთმფლობელის მოთხოვნით .

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

**მუხლი 36**

1. გემის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებია :

ა ) გემის მდგომარეობის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგე ნილ საზღვაო უსაფრთხოების სტანდარტებთანშეუსაბამობა ან ზღვის გარემოს დაბინ ძურების რისკის შემცველობა ;

ბ ) გემზე დასაქმებული პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარა ნტიების არარსებობა ;

გ ) წინასწარ დადასტურებული ეჭვის არსებობა , რომ გემი გამოიყენება დანაშაულებრივი მიზნებისათვის , საერთაშორისო უსაფრთხოების, მართლწესრიგის , მშვიდობის ან საქართველოს ეროვნული ინტერეს ების წინააღმდეგ ;

დ ) ამ მუხლის მე -4 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა .

2. გემის რეესტრში რეგისტრაციის შეჩერების საფუძვლებია :

ა ) გემის ბერბოუტ-ჩარტერით რეგისტრაცია სხვა ქვეყნის სათანადო რეესტრში ;

ბ ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახდელის გადაუხდელობა ;

გ ) რეგისტრირებული გემთმფლობელის სათანადო წერილობითი განცხადების არსებობა ;

დ ) გემის მდგომარეობის საზღვაო უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა ან ზღვის გარემოს დაბინძურების რისკის შემცველობა ;

ე ) გემზე დასაქმებული პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარა ნტიების არარსებობა ;

ვ ) წინასწარ დადასტურებული ეჭვის არსებობა , რომ გემი გამოიყენება დანაშაულებრივი მიზნებისათვის , საერთაშორისო უსაფრთხოების, მართლწესრიგის , მშვიდობის ან საქართველოს ეროვნული ინტერეს ების წინააღმდეგ ;

ზ ) სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობა .

3. გემის რეგისტრაციიდან მოხსნის საფუძვლებია:

ა ) გემთმფლობელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ გემის რეგისტრაციის შეწყვეტის მოთხოვნა ;

ბ ) გემის ჩამოწერა ;

გ ) გემის შემდგომი ექსპლუატაციისა და შეკეთებისათვის უვარგისად ცნობა ;

დ ) გემის დაღუპვა;

ე ) ბერბოუტ-ჩარტერის ვადის გასვლა (ბერბოუტ-ჩარტერის რეგისტრაციის შემთხვევაში );

ვ ) გემის მესაკუთრის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ბერბოუტ-ჩარტერის რეგისტრაციის ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნა;

ზ ) სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობა .

4. გემის რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა ) რეგისტრაციის შემდეგ გემის მიერ ზღვაოსნობაუნარიანობის დაკარგვა ან მისი სხვაგვარად განადგურება , მათ შორის, ხანძრის ან ჩაძირვის შედეგად ;

ბ ) გემის მდგომარეობის ამ კოდექსის დებულებებთან ან / და გემის რეგისტრაციის პირობებთან შეუსაბამობა ;

გ ) გემის მდგომარეობის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ საზღვაო უსაფრთხოების , ნაოსნობის უშიშროების და ზღვის გარემოს დაცვის სტანდარტებთან შეუსაბამობა;

დ ) გემის სხვა სახელმწიფოს ნავსადგურში დაკავება .

5. ამ მუხლის მე - 4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გემთმფლობელი ვალდებულია შეატყობინოს სააგენტოს ასეთი შემთხვევის შესახებ .

6. ამ მუხლის მე - 4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გემის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება მთავარი რეგისტრატორის ინდივიდუალურ ი სამართლებრივი აქტით .

7. გემის რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის მიერ სააგენტოში განცხადების წარდგენის შემთხვევაში ან შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მთავარ რეგისტრატორს უფლება აქვს, უარი თქვას გემის რეგისტრაციიდან მოხსნაზე /რეგისტრაციის შეწყვეტაზე , თუ გემთან დაკავშირებული ნებისმიერი პასუხისმგებლობა ან ვალდებულება სააგე

ნტოს წინაშე არ შესრულებულა სრულად ან შესრულდა ნაწილობრივ .სააგენტო არ გასცემს რეგისტრაციიდან მოხსნის მოწმობას , თუ გემის რეგისტრაციის მოწმობა ან სხვა მოთხოვნილი მოწმობები მას არ ჩაჰბარდება .

8.
პატარა გემის რეგისტრაციიდან მოხსნის/რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძვლებია :

ა ) გემის დაღუპვა ;

ბ ) გემთმფლობელის წერილობითი განცხადება ;

გ ) გემთმფლობელის შეცვლა .

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

**მუხლი 40**

1. გემის რეგისტრაციის მოწმობას გასცემს სააგენტო თავის მიერ დადგენილი წესით .

2.სააგენტოს შეუძლია მოახდინოს უფლებამოსილების დელეგირება აღიარებულ ორგანიზაციებსა და ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციებზე , რათა მათ გასცენ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოწმობები .

3.გემის რადიოსადგურის მოწმობას გასცემს სააგენტო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან შეთანხმებით .

4.გამონაკლის შემთხვევაში სააგენტოს შეუძლია , ამ კოდექსის II 1 თავით გათვალისწინებულ აღიარებულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით , ამავე კოდექსით განსაზღვრული მოწმობების გარეშე გასცეს ერთჯერადი ნაოსნობის უფლება მოწმობების არქონის ან მოთხოვნილ სტანდარტებთან შეუსაბამობის დროს , თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს .

5.სააგენტოს შეუძლია, ამ კოდექსის II 1 თავით გათვალისწინებულ ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციასთან შეთანხმებით, გასცეს ერთჯერადი ნაოსნობის უფლება საერთაშორისო ნაოსნობის განსახორციელებლად იმ გემზე , რომელიც ჩართულია სანაპირო ნაოსნობაში , თუ ასეთი ნაოსნობის მიზანია გემის მიმდინარე და სავალდებულო სარემონტო სამუშაოების ჩატარება .

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

**მუხლი 44 [1]**

ამ თავის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა :

ა ) უფლებამოსილების მინიჭება – საქართველოს მიერ აღიარებული ორგანიზაციის თვის უფლებამოსილების დელეგირების (გადაცემის) სათანადო აქტი ;

ბ ) გემი – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყ ველა ტიპის გემი ;

გ ) საქართველოს გემი – ამ კოდექსის დებულებების შესაბამისად საქართველოს გემების სახელმწიფო რ ეესტრში რეგისტრირებული და საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემი ;

დ ) გემთმფლობელი – გემის მესაკუთრე ფიზიკური ან იურიდიული პირი ;

ე ) სატვირთო გემი – გემი , რომელიც განკუთვნილია ტვირთის გადასაზიდად და ა რ არის სამგზავრო გემი ;

ვ ) სამგზავრო გემი – გემი , რომელიც იტევს 12 მგზავრზე მეტს და რომელზედაც მგ ზავრი არის ნებისმიერი პირი , გარდა :

ვ . ა ) კაპიტნისა , ეკიპაჟის წევრებისა და გემზე დასაქმებული სხვა პირებისა ;

ვ . ბ ) 1 (ერთ ) წლამდე ასაკის ბავშვისა ;

ზ ) სატვირთო გემის უსაფრთხოების რადიოკავშირის რადიომოწმობა – მოწმობა , რ ომელიც გათვალისწინებულია ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესწორებული რადიოწესებით ;

თ ) კლასის მოწმობა – აღიარებული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და გამოქვეყნებული წ ესებისა და პროცედურების საფუძველზემათ მიერვე გაცემული დოკუმენტი , რომელ იც ადასტურებს გემის განსაზღვრულ მიზნებთან ან მომსახურებასთან შესაბამისობას ;

ი ) ინსპექტირება და შემოწმება – საქართველოს გემის აუცილებელი ინსპექტირება და შემოწმება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების , საერთაშორისო საზ ღვაო ორგანიზაციისა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის აქტების , სტ ანდარტების ,რეზოლუციებისა და რეკომენდაციების საფუძველზე ;

კ ) საერთაშორისო ხელშეკრულებები :

კ . ა ) საერთაშორისო კონვენცია ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ , 1974 წ., 1978 წლის ოქმით, ცვლილებათა გათვალისწინებით ;

კ . ბ ) საერთაშორისო კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ , 1966 წ., ცვლილებათა გათვალისწინებით ;

კ . გ ) საერთაშორისო კონვენცია ხომალდებიდან გაჭუჭყიანების აღკვეთის შესახებ (MAR POL), 1973 წ., 1978 წლის ოქმით, ცვლილებათა გათვალისწინებით ;

კ . დ ) საერთაშორისო კონვენცია ხომალდების გაზომვის შესახებ (T ONNAGE 69), 1969 წ., ცვლილებათა გათვალისწინებით ;

კ . ე ) „კ.ა“–„კ.დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების ოქმები , სხვა დაკავშირებული დოკუ მენტები და სათანადო კოდექსები, ცვლილებათა გათვალისწინებით ;

კ . ვ ) სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები , რომლებსაც სავალდებულოდ აღიარე ბს საქართველო და რომლებიც შეეხება საზღვაო უსაფრთხოებას , ნაოსნობის უშიშროე ბას და ზღვის გარემოს დაცვის საკითხებს;

ლ ) ადგილსამყოფელი – რეგისტრირებული ოფისის ადგილსამყოფელი , ცენტრალური ადმინისტრაციის ან ორგანიზაციის ძირითადი საქ მიანობის ადგილი ;

მ ) გემის ოპერატორი – გემთმფლობელი ან ნებისმიერი სხვა პირი , რომელიც შესაძ ლებელია იყოს მენეჯერი ან გემის უეკიპაჟოდ დამფრახტავი (ბერბოუტ-ჩარტერერი ), რომელსაც გემთმფლობელმა დააკისრა გემის მართვის პასუხისმგებლობა და რომელმაც ამპასუხისმგებლობის აღებისას განაცხადა თანხმობა , შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ვალდებულებადა იკისროს სათანადო პასუხისმგებლობა ;

ნ ) კონტროლი ორგანიზაციასთან მიმართებით – უფლებები , კონტრაქტები ან სხვა, კანონით განსაზღვრული ან ფაქტობრივი საშუალებები , რომლებიც ცალმხრივად ან ერთობლი ვად ანიჭებს პირს შესაძლებლობას , გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს იურიდიულ პი რზე ამ კოდექსით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად;

ო ) წესები და პროცედურები – აღიარებული ორგანიზაციის მიერ გემის დიზაინის , კონსტრუქციის , აღჭურვილობის , მოვლა - შენახვისა და შემოწმების მიმართ წაყენებ ული მოთხოვნები ;

პ ) მინისტრი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ;

ჟ ) ორგანიზაცია – იურიდიული პირი , კერძოდ, საკლასიფიკაციო საზოგადოება ან სხვა კერძო დაწესებულება , მისი ფილიალი, მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული
სხვა პირი , რომლებიც ერთობლივად ან ცალ - ცალკე ახორციელებენ ისეთ საქმიანობა ს , რომელიც ამ კოდექსის მოქმედების სფეროში ექცევა ;

რ ) გემების შემმოწმებელი – პირი , რომელიც რეგისტრირებულია სააგენტოში გემე ბის შემმოწმებლად ამ კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად ;

ს ) აღიარებული ორგანიზაცია – ამ კოდექსის თანახმად აღიარებული ორგანიზაცია ;

ტ ) სავალდებულო მოწმობა – საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საქა რთველოს მიერ ან საქართველოს სახელით გაცემული მოწმობა ;

უ ) IMO- ს A.847 (20) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1997 წლის 27 ნოემბრის რ ეზოლუცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტების იმპლემენტაციის ათვის დროშის სახელმწიფოს დასახმარებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს შეს ახებ , დანართისა და დამატება 1- ის ჩათვლით ;

ფ ) IMO- ს A.739 (18) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1993 წლის 4 ნოემბრის რე ზოლუცია ადმინისტრაციის სახელით მოქმედი ორგანიზაციებისათვის უფლებამოსი ლების მისანიჭებლად სახელმძღვანელოს შესახებ ;

ქ ) M SC/Circ. 710 და MEPC/Circ. 307 ცირკულარები – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1995 წლის 9 ოქტომბრის ცირკულარები ადმი ნისტრაციის სახელით მოქმედი აღიარებული ორგანიზაციებისათვის უფლებამოსილ ების გადაცემის ხელშეკრულების მოდელის შესახებ ;

ღ ) გადამცემი ორგანიზაცია – გემის მიერ კლასის შეცვლისას ის აღიარებული ორგა ნიზაცია , რომლის კლასიც ჰქონდა გემს;

ყ ) მიმღები ორგანიზაცია – გემის მიერ კლასის შეცვლისას ის აღიარებული ორგანი ზაცია , რომლის კლასიც ექნება გემს .

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

**მუხლი 44 ²**

1. ევროკავშირის მიერ აღიარებულ ორგანიზაციას უფლება აქვს, განახორციელოს აღიარებული ორგანიზაციის უფლებამოსილებები საქართველოს სახ ელმწიფო დროშით მცურავი გემის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული წინაპირ ობების შესრულებისას .

2.საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემის მიმართ აღიარებული ორგან იზაციის უფლებამოსილებების განხორციელებისას ყველა ასეთი ორგანიზაცია ვალდ ებულია სააგენტოსთან წინასწარი კონსულტაციები გაიაროს იმის თაობაზე , თუ რა უ ფლებამოსილებების დელეგირებას ითხოვს იგი .

3. კონსულტაციების შედეგად ორგანიზაციასთან სააგენტოს შეთანხმება წერილობით ფორმდება. ეს შეთანხმება უნდა უ პასუხებდეს ამ კოდექსის 44 15 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს

განცხადებას იმის თაობაზე , რომ საქართველოსსახელმწიფო დროშით მცურავ გემთა ნ დაკავშირებით მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით .

4. სააგენტო უფლებამოსილია აღიარებული ორგანიზაციებისათვის შეიმუშაოს საქართველოს გემების ინსპექტირების , შემოწმებისა და სერტიფიცირების თაობაზე სავალდებულო ინსტრუქციები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და IMO-ს A.847 (20) რეზოლუციის დანართისა და დამატება 1-ის შესაბამისად .

5.სააგენტო ამ კოდექსის შესაბამისად ახორციელებს აღიარებული ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობასდა კონტროლს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად .

6.საქართველო უფლებამოსილია მიიღოს ფინანსური კომპენსაცია აღიარებული ორ განიზაციისგან , თუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად , სასამართლოს ან ა რბიტრაჟის გადაწყვეტილებით დადგინდა , რომ ქონებრივი ზარალი ან ზიანი , ფიზი კური ზიანი ან დაღუპვაგამოწვეულია აღიარებული ორგანიზაციის ქმედებით .

7. სააგენტოსა და აღიარებულ ორგანიზაციას შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებული დ ავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად , თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმ დებიან .

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6386 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.

**მუხლი 45**

1. გემის ეკიპაჟის შემადგენლობაში შედიან გემის კაპიტანი, მეთაურთა შემადგენლობის სხვა წევრები და გემის რიგითი შემადგენლობა.

2. გემის მეთაურთა შემადგენლობაში, კაპიტნის გარდა, შედიან კაპიტნის თანაშემწეები, გემის მექანიკოსები, ელექტრომექანიკოსები, რადიოსპეციალისტები, გემის ექიმები და ბოცმანი. გემთმფლობელს შეუძლია მეთაურთა შემადგენლობაში შეიყვანოს გემის სხვა სპეციალისტებიც.

3. გემის ეკიპაჟი შედგება საგემბანო და სამანქანო რაზმებისაგან, აგრეთვე სხვა წევრებისაგან, რომლებიც არ შედიან გემის მეთაურთა შემადგენლობაში.

**მუხლი 47**

1. გემის კაპიტნის, კაპიტნის თანაშემწეების, გემის მექანიკოსების, ელექტრომექანიკოსების და რადიოსპეციალისტების თანამდებობებზე სამუშაოდ დაიშვებიან შესაბამისი წოდების მქონე საზღვაო საქმის სპეციალისტები „საქართველოს საზღვაო გემების მეთაურთა შემადგენლობისათვის წოდების მინიჭების შესახებ “ დებულების შესაბამისად.

2. წოდების მინიჭება ხდება სააგენტოში გამოცდების ჩაბარების შემდეგ, რაც დასტურდება სათანადო დიპლომითა და საკვალიფიკაციო მოწმობით.

3. წოდებების ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ.

4. საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი სამგზავრო გემის კაპიტნის თანამდებობის დაკავება შეუძლია კაპიტნის წოდების მქონე პირს სპეციალური გამოცდების ჩაბარებისა და სააგენტოს მუდმივმოქმედი სახელმწიფო საზღვაო საკვალიფიკაციო კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ.

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

**მუხლი 63**

გემი კომპლექტდება სპეციალურად მომზადებული ეკიპაჟით, რომლის თითოეული წევრის კვალიფიკაციაც დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი დიპლომით ან საკვალიფიკაციო მოწმობით.

**მუხლი 64**

გემზე სამსახურისათვის დაიშვებიან ის პირები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს საერთაშორისო ნორმებით დადგენილ მოთხოვნებს. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნას იძლევა საზღვაო სამედიცინო კომისია.

**მუხლი 68**

1. ეკიპაჟის წევრის რეპატრიაცია გემთმფლობელის ხარჯზე ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) სააგენტოს ინიციატივით გათავისუფლებისას;

ბ) ავადმყოფობის ან ტრავმის შემთხვევაში;

გ) გემის დაღუპვისას;

დ) როდესაც გემთმფლობელს არ შეუძლია შეასრულოს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებანი;

ე) შვებულებაში გასვლისას;

ვ) კონტრაქტის ვადის გასვლისას.

2. გემთმფლობელი ვალდებულია ორგანიზაცია გაუწიოს რეისის შემდეგ მეზღვაურის რეპატრიაციას კონტრაქტით ან კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნავსადგურში, ხოლო თუ კონტრაქტში ან ხელშეკრულებაში არ არის ასეთი მითითება,– იმ ნავსადგურში, სადაც იგი სამუშაოდ აიყვანეს .

3. გემთმფლობელი პასუხს აგებს მგზავრობის (როგორც წესი, თვითმფრინავით), სასტუმროს, კვების, ხელფასისა და ფულადი დახმარების, ხელშეკრულებით

განსაზღვრული ოდენობის ბარგის გადატანისა და მკურნალობის ორგანიზაციაზე და ანაზღაურებს გაწეულ ხარჯებს.

4. თუ გემთმფლობელს არ შესწევს უნარი ორგანიზაცია გაუკეთოს მეზღვაურის რეპატრიაციას და აანაზღაუროს ხარჯები, მაშინ ამ ვალდებულებას კისრულობს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო გაწეული ხარჯების გემთმფლობელისათვის შემდგომი გადახდევინებით.

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

**მუხლი 70**

1. საზღვაო ნავსადგური შედგება საზღვაო აკვატორიისაგან, მისთვის განსაზღვრული ტერიტორიისაგან და ჰიდროტექნიკური ნაგებობებისაგან. საზღვაო ნავსადგურს აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

2. საზღვაო ნავსადგურის ტერიტორია მოიცავს მისთვის გამოყოფილ სახმელეთო ტერიტორიას, ხოლო ნავსადგურის აკვატორია – ნავსადგურისათვის გამოყოფილ ზღვის სივრცეს.

3. საზღვაო ნავსადგური უზრუნველყოფს ნავსადგურის ტერიტორიისა და აკვატორიის მზადყოფნას უსაფრთხო ნაოსნობისათვის.

4. საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგური უნდა აღიჭურვოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გემების მოძრაობის მართვის რადიოლოკაციური სისტემებით, რომელთა ოპერატორები უნდა აკმაყოფილებდნენ სააგენტოს მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიისა და აკვატორიის ფარგლებში ხორციელდება შემოსული გემების დატვირთვა-გადმოტვირთვა, მომსახურება, ტვირთის სატრანსპორტო-საექსპედიტორო, ტვირთის შენახვის, დაგროვების, შეფუთვის, საწყობში განთავსების ოპერაციები, ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორე სახეობის ტრანსპორტზე ტვირთის გადატვირთვა, აგრეთვე მგზავრთა მომსახურების, ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის ოპერაციები, გემების საწვავით მომარაგება, ტექნიკური მომსახურება, შეკეთება და სხვა.

6. საქართველოს იმ საზღვაო ნავსადგურების ნუსხას, რომლებიც ღიაა უცხო ქვეყნების გემებისათვის, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა და იგი ქვეყნდება „ზღვაოსანთა უწყებებში“. ამ ნუსხის გამოქვეყნებას უზრუნველყოფს სააგენტო.

7. სამხედრო ნავსადგურების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2013 წლის 24 სექტემბრის კანონი №1286 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

**მუხლი 76**

1. საზღვაო ნავსადგური ნაოსნობის უსაფრთხოებისა და ნავსადგურში მომსახურების დადგენილ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით პასუხისმგებელია:

ა) ნავმისადგომებთან და რეიდზე გემების უსაფრთხო დგომაზე;

ბ) ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამართულობაზე;

გ) ნავსადგურის მფლობელობაში არსებულ კავშირგაბმულობისა და ელექტრორადიოსანავიგაციო საშუალებათა გამართულობაზე;

დ) ნავსადგურის საკუთრებაში არსებული სანავიგაციო ნიშნების გამართულობაზე;

ე) საპროექტო სიღრმეების შენარჩუნებაზე;

ვ) ნავსადგურის წესების დაცვაზე;

ზ) ნავსადგურის აკვატორიისა და ტერიტორიის ფარგლებში სისუფთავისა და გარემოს დაცვის მოთხოვნათა შესრულებაზე;

თ) გემიდან ნავთობშემცველი მასების მიღებაზე;

ი) გემიდან ფეკალური მასების, ნაგვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე სხვა ნივთიერებების მიღებასა და უტილიზაციაზე;

კ) კატასტროფის შედეგად უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის შესაბამისი პირველადი დახმარების აღმოჩენაზე;

ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს და საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის მითითებების შესრულებაზე ზღვაზე საძიებო-სამაშველო ოპერაციების და ნავთობისა და მავნე ნივთიერებების ავარიული დაღვრის ლიკვიდაციის დროს.

2. საზღვაო ნავსადგური ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საქმიანობებს ახორციელებს ამ კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სააგენტოს მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად.

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

**მუხლი 87**

1. ზღვაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გემის სალოცმანო გაცილებას საქართველოს ნავსადგურის მისასვლელებთან და აკვატორიის ფარგლებში ახორციელებს მხოლოდ საზღვაო ლოცმანი (შემდგომ – ლოცმანი) სააგენტოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. საზღვაო ნავსადგური ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით ვალდებულია უზრუნველყოს საზღვაო ნავსადგურსა და აკვატორიაში სალოცმანო სამსახურის ფუნქციონირება.

3. სალოცმანო სამსახური შეიძლება შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ან საწარმოს სტრუქტურული ერთეულის სახით. დამოუკიდებელი სალოცმანო სამსახური თავის საქმიანობას საზღვაო ნავსადგურში ახორციელებს ნავსადგურთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

**მუხლი 94**

გემის კაპიტანი ვალდებულია უზრუნველყოს ლოცმანისა და სტაჟიორის დაუყოვნებლივ და უსაფრთხო მიღება , გემის გაცილების მთელ პერიოდში უფასოდ უზრუნველყოს ისინი ცალკე მოსასვენებელი ოთახითა და კვებით მეთაურთა შემადგენლობის თანაბრად.

**მუხლი 106**

1. ქონების ჩაძირვის შემთხვევაში
ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ საქართველოს უახლოესი საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველ ობისა და კონტროლის სამსახურის უფროსს – ნავსადგურის კაპიტანს .

2. სააგენტო , შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით , ადგენს ზღვაში ჩ აძირული ქონების ამოღების ვადას , მისი დაცვისა დაამოღების სამუშაოების წარმოებ ის გეგმას , რასაც აცნობებს მის მფლობელს .

3. თუ ქონებ ა საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაში ა ჩაძირული , მისი ამოღების სამ უშაოების წარმოების შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გეგმა ასევე უნდა შეთანხმდეს საზღვაო ნავსადგურთან , რომელ იც ხელს უწყობს ამ გეგმის ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის ხარჯით შესრულ ებას .

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6545 – ვებგვერდი, 04.07.2012წ.

მუხლი 107

1. თუ ზღვაში ჩაძირული ქონება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ნაოსნობის უსაფრთხოებას, ხელს უშლის საზღვაო რეწვას , ჰიდროტექნიკურ ი , სამეცნიერო - კვლევით ი, გარემოსდაცვითი, სა მაშველო-სამძებრო და სხვა მსგავსი სამუშაოების წარმოებას , ასევე ქმნის გარემოს დაბინძურების საშიშროება ს , მისი მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ საქართველოს უახლოესი საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის უფროსს – ნავსადგურის კაპიტ ა ნს და, მისი მოთხოვნი ს შესაბამისად, გონივრულ ვადაში ამოიღოს ზღვაში ჩაძირული ქონება .

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე , თუ ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელი უცნობია , სააგენტო გონივრულივადით საჯაროდ აქვეყნებს ინფორმაციას ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის მო სა ძიებ ლად, ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღების გონივრული ვადის მითითებით .

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე , ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის თაობაზე ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში , თუ ზღვაში ჩაძირული გემის დროშის სახელმწიფო ცნობილია , სააგენტო ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელის მო სა ძიებ ლად აღნიშნული გემის დროშის სახელმწიფოსათვის გადასაცემ შეტყობინებას , ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებისგონივრული ვადის მითითებით , უგზავნის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან , გარემოებათა გათვალისწინებით , აღნიშნული შეტყობინების გადასაცემად უკავშირდება პირდაპირ შესაბამისი სახელმწიფოს ეროვნულ საზღვაო ორგანოს .

4. თუ ამ მუხლის პირველი , მე -2 და მე - 3 ნაწილ ებ ით გათვალისწინებულ გონივრულ ვადაში არ განხორციელდა ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღება , სააგენტო უფლებამოსილია უზრუნველყოს ამ ქონების ამოღება , ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – მიიღოს ზომები მის გასანადგურებლად .

5. თუ ქონება საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაში ა ჩაძირული , ამ მუხლის მე - 4 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმით ახორციელებს საზღვაო ნავსადგური .

6. სააგენტოს ან საზღვაო ნავსადგურს შესაბამისად ამ მუხლის მე -4 და მე - 5 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების საკუთარი ხარჯითგანხორციელების შემთხვევაში უფლება აქვ ს, გაწეული ხარჯის ანაზღაურება ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელს მო ს თხოვო ს .

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6545 – ვებგვერდი, 04.07.2012წ.

**მუხლი 108**

1. ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელი უფლებამოსილია გამოითხოვოს ამოღებული ქონება მისი ჩაძირვიდან 2 წლის ვადაში .ამასთან ავე, ის ვალდებულია სააგენტოს ან საზღვაო ნავსადგურს აუნ აზღაუროს ქონების ჩაძირვისა და ამოღების შედეგად მიყენებული ზიანი და ჩაძირული ქონების ამოღებასთან დაკავშირებული ხარჯები .

2. თუ ამოღებული ქონება რეალიზებულია საზღვაო ნავსადგურის ან სააგენტოს მიერ , იმის გამო , რომ მისი შენახვა არ იყო შესაძლებელი ან /და მიზანშეწო ნილი , ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელს უბრუნდება რეალიზაციის შედეგად ა მოღებული თანხა , იმ ხარჯებისა და ზიანის გამოკლებით , რომლებიც /რომელიც სააგ ენტომ ან საზღვაო ნავსადგურმა გ ასწია / მიიღო ქონების ამოღების , შენახვის ა და რეა ლიზაციის დროს .

3. ზღვაში ჩაძირულ ქონებაზე ან ამოღებულ ქონებაზე უარის თქმა არ ათავისუფლე ბს ჩაძირული ქონების მფლობელს სააგენტოსთვის ან საზღვაო ნავსადგურისთვის მიყენებული ზია ნისა და ხარჯების ანაზღაურებ ი ს ვალდებულებისაგან .

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6545 – ვებგვერდი, 04.07.2012წ.

**მუხლი 109**

ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელი ინარჩუნებს ზღვაში ჩაძირულ ქონებაზე სა კუთრების უფლებას მისი ჩაძირვიდან 2 წლის განმავლობაში . ა მ ვადის გასვლის შემ დეგ ზღვაში ჩაძირული ქონება სახელმწიფო საკუთრებაში გადადის .

საქართველოს 2008 წლის 27 ივნისის კანონი №69-სსმI, №12, 14.07.2008წ., მუხ.91

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6545 – ვებგვერდი, 04.07.2012წ.

**მუხლი 110**

სააგენტოს უფლება აქვს , საზღვაო ნავსადგურის შუამდგომლობის საფუძველზე ან მის გარეშე აუკრძალოს ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელს ზღვაში ჩაძირული ქო ნების ამოღება მისი მფლობელის ან / და მის მიერ შერჩეული გემთამწე ორგანიზაციის კუთვნილი საშუალებებით , თუ ამ საშუალებებით სამუშაოთა წარმოება ან / და მისი ტექნოლოგია საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას , ნაოსნობ ის უსაფრთხოებას ან ამან შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება . ამ შემთხვევა

ში სააგენტო უფლებამოსილია ზღვაში ჩაძირული ქონება ამოიღოს მისი მფლობელის ხარჯ ით ან მოსთხოვოს მას სათანადო საშუალებებისა და ტექნოლოგიის გამოყენება .

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6545 – ვებგვერდი, 04.07.2012წ.

**მუხლი 113**

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებას ახორც იელებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ "საქართველოს კანონით გათვალისწ ინებული საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ში გ ა წყლებში ჩაძირული სახელმ წიფო საკუთრებაში არსებული ჯართისა და ფერადი ლითონის ამოღების ლიცენზიის მფლობელი , გარდა იმ შემთხვევისა , როცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ი ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებას ახორციელებს სააგენტო ან საზღვაო ნავსადგუ რი .

საქართველოს 2012 წლის 22 ივნისის კანონი №6545 – ვებგვერდი, 04.07.2012წ.

**მუხლი 153**

1. თუ გადაზიდვისათვის გამოყენებულია გემის ნაწილი, ხოლო დანიშნულების ნავსადგურში მიმღებმა არ გამოითხოვა ტვირთი, არ გასცა რაიმე განკარგულება მის შესახებ, ან უარი თქვა ტვირთის მიღებაზე, გადამზიდავს უფლება აქვს ტვირთი შეინახოს საიმედო ადგილას გამგზავნის რისკით და ხარჯზე და ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ტვირთის გამგზავნს.

2. თუ ტვირთის გადასაზიდად გემი გამოყენებულია მთლიანად, ხოლო ტვირთის მიმღები არ გამოცხადდა დანიშნულების ნავსადგურში ან უარი განაცხადა ტვირთის მიღებაზე, გემის კაპიტანი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ტვირთის გამგზავნს. კაპიტანმა ნავსადგურში ტვირთი უნდა გადმოცალოს და საწყობში ჩააბაროს მხოლოდ გადმოტვირთვის ვადის დამთავრებისა და კონტრსტალიური დროის გასვლის შემდეგ, თუ ამ დროის განმავლობაში მიღებული არ არის ტვირთის გაგზავნის სხვა განკარგულება. გადამზიდავის მიერ ტვირთის ჩაბარებისათვის დახარჯული დრო ჩაითვლება გემის მოცდენად.

3. თუ შესანახად ჩაბარებული ტვირთი არ იქნა მოთხოვნილი ნავსადგურში გემის შესვლიდან ორი თვის განმავლობაში და გამგზავნი არ აუნაზღაურებს გადამზიდავს ამ გადაზიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, გადამზიდავს უფლება აქვს გაყიდოს ეს ტვირთი და შეატყობინოს ამის შესახებ გამგზავნს. მალფუჭებადი მოუკითხავი ტვირთი შეიძლება გაიყიდოს აღნიშნული ვადის გასვლამდე. ამის შესახებ გადამზიდავი ატყობინებს ტვირთის გამგზავნს.

4. საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში მიმღების მიერ ტვირთის მიღება-შენახვის წესები და ვადა, აგრეთვე მიმღების მიერ მოუკითხავი ტვირთის გაყიდვა ხდება სააგენტოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონი №4598-სსმI, №11, 10.04.2007წ., მუხ.102

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4222 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

**მუხლი 226**

საქართველოს ნავსადგურებს შორის, ასევე უცხო ქვეყნების ნავსადგურებამდე ან უკან საქართველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემების მიერ ბუქსირზიდვა რეგულირდება ამ კოდექსით.

**მუხლი 321**

1. სამაშველო ოპერაციად ითვლება საფრთხეში მყოფი ადამიანების, გემის ან სხვა ქონების გადასარჩენად ნებისმიერ წყლებში გაწეული ნებისმიერი ქმედება.
2. ამ თავის წესები ეხება აგრეთვე იმ გემებს, რომლებიც საქართველოს სამხედრო-საზღვაო ალმით დაცურავენ.

*პროექტი*

## საქართველოს კანონი

## „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 430060000.05.001.016584) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 65-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 65. შეჩერება**

მხოლოდ სააგენტოს აქვს კომპეტენციის სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების უფლება, თუ საზღვაო ინციდენტში ჩართულია გემის მართვისა და ექსპლუატაციის დონის მეზღვაური. საჭიროების შემთხვევაში კომპეტენციის სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერება შესაძლებელია გაგრძელდეს სა სამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, არა უმეტეს 1 წლის განმავლობაში.“.

2. *68-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქიით:*

„2. თუ პირმა 2014 წლის 14 ნოემბრამდე მიიღო მართვის/ექსპლუატაციის დონის შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად სათანადო კომპეტენციის სერტიფიკატი/დიპლომი და მისი საგანმანათლებლო კვალიფიკაცია არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო უფლებამოსილია, განაახლოს კომპეტენციის სერტიფიკატი ან გასცეს ახალი კომპეტენციის სერტიფიკატი, თუ პირის კომპეტენცია შეესაბამება კონვენციითა და STCW-ის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, წვრთნასთან და დამტკიცებულ ნაოსნობის სტაჟთან დაკავშირებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ახალი კომპეტენციის სერტიფიკატის გაცემის შესაბამისობას ადგენს სააგენტო, წარმოდგენილი დოკუმენტური დასაბუთების შეფასებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამოცდის გზით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*

**განმარტებითი ბარათი**

**საქართველოს კანონი**
**„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**
კანონპროექტის მიღების მიზეზია, საქართველოში მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების სრულყოფა და ხარვეზის აღმოფხვრა.
წარმოდგენილი კანონის პროექტით, ცვლილება შეეხება კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტს, კერძოდ, ცვლილებით განისაზღვრება, რომ იმ პირებს, რომლებმაც ***2014 წლის 14 ნოემბრამდე მიიღეს*** მართვის/ექსპლუატაციის დონის შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად სათანადო კომპეტენციის სერტიფიკატი/დიპლომი და მისი საგანმანათლებლო კვალიფიკაცია არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ***სააგენტო უფლებამოსილი იქნება განაახლოს კომპეტენციის სერტიფიკატი ან გასცეს ახალი კომპეტენციის სერტიფიკატი.***
ტერმინი სამეთაური შემადგენლობა არის მოძველებული, რომელიც არ ითვალისწინებს თანამედროვე საკანონმდებლო რეალობას და შესაძლოა არასწორად იქნეს გაგებული. მისი ინგისური შესაბამისი სიტყვაა „Management“. ტერმინი სამეთაურო შემადგენლობა ტერმინოლოგიურად და შინაარსობრივად მოიცავს „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ" 1978 წლის საერთაშორისო კონვენციით დადგენილ მართვისა და ექსპლუატაციის დონის მეზღვაურებს, ხოლო ტერმინი Management (მართვა) ასე გამოიყენება გემთმფლობელი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც შესაძლოა არ იყოს მართვისა და ექსპლუატაციის დონის მეზღვაური. **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ***2014 წლის 14 ნოემბრის 2790-IIს ცვლილების შესაბამისად, ცვლილება შევიდა 68-ე მუხლის მე-2 პუნქტში,*** რომლის თანახმად, *„თუ პირმა ამ კანონის ამოქმედებამდე მიიღო მართვის/ექსპლუატაციის დონის შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად სათანადო სერტიფიკატი/დიპლომი და მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო უფლებამოსილია განაახლოს კომპეტენციის სერტიფიკატი ან* ***გასცეს <u>იმავე დონის</u> ახალი კომპეტენციის სერტიფიკატი.“.***
აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდგომ, სააგენტოს განცხადებით მიმართეს მეზღვაურებმა, რომელთაც კანონში განხორციელებული ცვლილების

შედეგად, პრობლემა შეექმნათ დასაქმების კუთხით. კერძოდ კი, ***1999 წლიდან 2013 წლამდე*** სამ საზღვაო-საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავდა ***1 200-მდე კურსდამთავრებული,*** რომელთაც მიღებული აქვთ მხოლოდ 3 წლიანი პროფესიული განათლება (ნაცვლად დღევანდელი 4 წლიანი მოთხოვნისა). აღნიშნულ პირებს არ ეძლევათ საშუალება მიიღონ ***მართვის დონის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი,*** რაც ხელს უშლის მათ პროფესიულ განვითარებას, თუმცა ***აღებული აქვთ ექსპლუატაციის დონის შესაბამისი სერტიფიკატი,*** რომელიც მოქმედი კანონის შესაბამისად მის მფლობელს უნდა აძლევდეს საშუალებას ***აიმაღლოს რანგი მართვის დონემდე.*** არსებული კანონის 68-ე მუხლის მეორე პუნქტში არსებული ჩანაწერი სააგენტოს უზღუდავს შესაძლებლობას იმსჯელოს ***რანგის ცვლილებაზე, ვინაიდან ჩანაწერი უშვებს მხოლოდ იმავე დონეზე სერტიფიკატის განახლებას ან იმავე დონის ახალი სერტიფიკატის გაცემას.***

აღსანიშნავია, რომ მიზეზი გახლავთ ის, რომ საქართველოს მიერ გაცემული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის ***გაცემის წინაპირობა უმაღლესი საზღვაო განათლებაა.*** ხოლო უმაღლესი განათლება ამ კანონის მიზნებისათვის განიხილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთიანობაში, რომლის შესაბამისადაც, მეზღვაური ***კომპეტენცის მისაღებად საჭიროებს 4 წლიანი ბაკალავრიატის დამთავრებას.***

კანონის მოქმედი რედაქცია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უზღუდავს შესაძლებლობას იმსჯელოს იმ პირთა კომპეტენციის დასადგენად, ***რომელთაც დააგროვეს შესაბამისი სამუშაო სტაჟი ექსპლუატაციის დონიდან მართვის დონეზე გადასასვლელად.*** ხოლო აღნიშნული კი, მეზღვაურს პრაქტიკულად უზღუდავს შესაძლებლობას მუშაობა განაგრძოს უფრო მაღალი რანგის თანამდებობაზე, რაც თავისთავად მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციის, ცვლილებათა გათვალისწინებით, (STCW კონვენცია ან კონვენცია) მიზანსა და ობიექტს ეწინააღმდეგება, კერძოდ, ***კონვენცია არ არეგულირებს განათლების საკითხს და მას მხოლოდ მეზღვაურის მიერ პრაქტიკული გამოცდილების მიღების ჭრილში აყენებს.***

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის კანონის 65-ე მუხლში და იცვლება ტერმინი „სამეთაურო შემადგენლობა“, რომელიც არის არის მოძველებული, არ ითვალისწინებს თანამედროვე საკანონმდებლო რეალობას და შესაძლოა არასწორად იქნეს გაგებული. მისი ინგისური შესაბამისი სიტყვაა „Management”. ტერმინი სამეთაურო შემადგენლობა ტერმინოლოგიურად და შინაარსობრივად მოიცავს „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ" 1978 წლის საერთაშორისო კონვენციით დადგენილ მართვისა და ექსპლუატაციის დონის მეზღვაურებს, ხოლო ტერმინი Management (მართვა) ასე გამოიყენება გემთმფლობელი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც შესაძლოა არ იყოს მართვისა და ექსპლუატაციის დონის მეზღვაური.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება 68–ე მუხლის მე–2 პუნქტში და ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „თუ პირმა 2014 წლის 14 ნოემბრამდე მიიღო მართვის/ექსპლუატაციის დონის შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად სათანადო კომპეტენციის სერტიფიკატი/დიპლომი და მისი საგანმანათლებლო კვალიფიკაცია არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ***სააგენტო უფლებამოსილია, განაახლოს კომპეტენციის სერტიფიკატი ან გასცეს ახალი კომპეტენციის სერტიფიკატი,*** თუ პირის კომპეტენცია შეესაბამება კონვენციითა და STCW-ის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, წვრთნასთან და დამტკიცებულ ნაოსნობის სტაჟთან დაკავშირებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ახალი კომპეტენციის სერტიფიკატის გაცემის შესაბამისობას ადგენს სააგენტო, წარმოდგენილი დოკუმენტური დასაბუთების შეფასებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამოცდის გზით.“.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებისათვის, ვისზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ეხება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას და არც მისი არსებული ოდენობის შეცვლას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს. იგი სრულად მოიცავს ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს დირექტივებს აღიარებულ ორგანიზაციებთან მიმართებაში.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი შემუშავებულია მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ კონვენციისა და STCW კოდექსის საფუძველზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი - სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო".

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

**იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება.**

მუხლი 65. შეჩერება

მხოლოდ სააგენტოს აქვს კომპეტენ ციის სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების უფლება, თუ საზღვაო ინციდენტში ჩართულია გემის მეთაურთა შემადგენლობის წარმომადგენელი. საჭიროების შემთხვევაში კომპეტენციის სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერება შესაძლებელია გაგრძელდეს სა სამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, არა უმეტეს 1 წლის განმავლობაში.

*მუხლი 68. კანონის უკუქცევითი ძალა*

1. მეზღვაურზე 2002 წლის 1 თებერვლამდე გაცემული სერტიფიკატი არ ექვემდებარება ამ კანონის შესაბამისად განახლებას, თუ შესაბამისი სერტიფიკატის მფლობელი არ წარმოადგენს დოკუმენტურ დასაბუთებას მის მიერ ისეთი დამატებითი წვრთნის გავლის თაობაზე, რომელიც შესაბამისი სერტიფიკატის გასაცემად მოითხოვება კონვენციის მიხედვით.

*2. თუ პირმა ამ კანონის ამოქმედებამდე მიიღო მართვის/ ექსპლუატაციის დონის შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად სათანადო სერტიფიკატი/დიპლომი და მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო უფლებამოსილია განაახლოს კომპეტენციის სერტიფიკატი ან* ***გასცეს იმავე დონის ახალი კომპეტენციის სერტიფიკატი,*** *თუ პირის კომპეტენცია შეესაბამება კონვენციითა და STCW-ის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, წვრთნასთან და დამტკიცებულ ნაოსნობის სტაჟთან დაკავშირებით. (14.11.2014. N2790)*

3. პირს, რომელმაც 2012 წლის 1 თებერვლამდე მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განათლების დიპლომი, უფლება აქვს, მიიღოს სავახტო თანაშემწის კომპეტენციის სერტიფიკატი, თუ: (14.11.2014. N2790)

ა) იგი არის 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი პირი;

ბ) მას აქვს გემბანზე/სამანქანე განყოფილებაში რიგით შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, მათ შორის, კაპიტნის, უფროსი მექანიკოსის, კაპიტნის სავახტო თანაშემწის ან მეორე მექანიკოსის ხელმძღვანელობით ხიდურაზე/სამანქანე განყოფილებაში ვახტზე დგომის არანაკლებ 6 თვის სტაჟი.

4. პირს, რომელმაც მიიღო „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაცია, უფლება აქვს, მიიღოს ექსპლუატაციის დონის კომპეტენციის სერტიფიკატი. (14.11.2014. N2790)

*პროექტი*

**საქართველოსკანონი**

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში**

**ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

*1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 86¹–ე მუხლი:*

**„მუხლი 86¹. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა**

1. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა სამოყვარულო და სპორტული იარაღების საშუალებით - გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში - გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით.
3. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა ზომამცირე გემების (7 (შვიდი) მეტრი და ნაკლები სიგრძის გემი) საშუალებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში - გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარით.
5. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა 100 ტონა ან ნაკლები საერთო ტევადობის (7 (შვიდი) მეტრზე მეტი სიგრძის მცურავი საშუალებით) გემით - გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.
6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში - გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარით.
7. ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევა 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის მცურავი საშუალებებით - გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარით.
8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში - გამოიწვევს დაჯარიმებას 8 000 ლარით.

***შენიშვნა:*** ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი

ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, განხორციელდება იძულებითი აღსრულება ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად.''.

*2. კოდექსის 114-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

**„მუხლი 114. საზღვაო პორტებში დატვირთვის, გადმოტვირთვის და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევა**

საზღვაო პორტებში დატვირთვის, გადმოტვირთვისა და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.".

*3. კოდექსის 114²–ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 114³ და 114⁴ მუხლები:*

**"მუხლი 114³. საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების წესების დარღვევა**

1. ნავსადგურის მიერ სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სახელმწიფო სამსახურებისთვის საზღვაო კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი პირობების არშექმნა, -
გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.
2. ნავსადგურის მიერ სერტიფიცირებულ სალოცმანო სამსახურთან ხელშეკრულების არგაფორმება უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან შესაბამისი გაფრთხილების შემდეგ, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.
3. სერტიფიცირებული სალოცმანო სამსახურის მიერ ლოცმანობის მსურველი სტაჟიორის მომზადების თაობაზე, უფლებამოსილი ორგანოსგან მიღებული შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში სტაჟიორის არმომზადება - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში განმეორებით მოთხოვნის შეუსრულებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით, ხოლო ერთი წლის განმავლობაში მე-3 და ყოველი მომდევნო მოთხოვნის შეუსრულებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 50 000 ლარის ოდენობით.
4. ნავსადგურში არსებული ნავმისადგომების დადგენილ ტექნიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობა, - გამოიწვევს, თითო ნავმისადგომზე, დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.
5. ნავსადგურის მიერ სატვირთო ოპერაციების წარმოება, რომელიც არ არის ნებადართული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თითოელ ნავმისადგომზე დაფიქსირებული შეუსაბამობისთვის, - გამოიწვევს დაჯარიმებას 15 000 ლარის ოდენობით.

*შენიშვნა:* ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, განხორციელდება იძულებითი აღსრულება ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად.

**მუხლი 114⁴. საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავი გემის მიერ წესების**

დარღვევა

1. საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრიდან გემის სახელმწიფო რეგისტრაციიდან მოხსნის/შეწყვეტის ან შეჩერების შემდეგ მთავარი რეგისტრატორისათვის გემის სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის ჩაუბარებლობა, – გამოიწვევს გემთმფლობელის/ოპერატორის/ დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.
2. საქართველოს სახელმწიფო დროშის უკანონო აღმართვა მცურავ საშუალებაზე, – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.
3. მცურავი საშუალების სახელმწიფო რეგისტრაციისას არასწორი წყალწყვის მითითება, რამაც გამოიწვია გემის სარეგისტრაციო საფასურის მნიშვნელოვანი შემცირება, -გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.
4. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალების მიერ ნაოსნობის განხორციელება სახელმწიფოს სარეგისტრაციო პროცედურებით მოთხოვნილი აუცილებელი განმასხვავებელი ნიშნების გარეშე, -გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.
5. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს გემის კაპიტნის ან მფლობელის/ოპერატორის მიერ გემის სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის გამოყენება იმ მცურავი საშუალებისათვის, რომლის მიმართაც აღნიშნული სერტიფიკატი არ გაცემულა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.
6. საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში არსებული ტონაჟის შეზღუდვის უგულებელჰყოფა და სატვირთო ოპერაციებისას შეზღუდული ტონაჟის მოცულობის გამოყენება უფრო მეტი ტვირთის გადასაზიდად, - გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.
7. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს გემის ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების დოკუმენტით განსაზღვრული პირობების დარღვევა გემთმფლობელის/ოპერატორის ან კაპიტნის მიერ, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.
8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ნებისმიერი სავალდებულო მოწმობის გარეშე გემის მიერ ნაოსნობის განხორციელება, საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს გემის მიერ, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა, - გამოიწვევს გემთმფლობელის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.
9. საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავი გემის მიერ საერთაშორისო ნაოსნობის რეჟიმის დარღვევა, მათ შორის ნაოსნობისათვის დახურულ ნავსადგურებში შესვლა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.“.

***4. კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:***

„1. შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის $58^{3}$, $86^{1}$, $107^{1}$–$107^{3}$, 108-ე, $114^{1}$, $114^{2}$, 116-ე, 118-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ედა 127-ე მუხლებით, $127^{1}$ მუხლის პირველი, $1^{1}$, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $129^{1}$ მუხლით, 131-ემუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 134-ე და $139^{5}$ მუხლებით, $153^{6}$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $174^{15}$ მუხლით (გარდა მე-4 ნაწილისა), $174^{16}$ და $176^{1}$

მუხლებით, $181^{1}$ მუხლის პირველი ნაწილით, $182^{1}$, $182^{2}$, 190-ე, $190^{2}$ და 191-ე მუხლებით .“.

**5. კოდექსის 209-ე მუხლის მე-$2^{1}$ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„$2^{1}$. ამ კოდექსის $86^{1}$ მუხლით და $114^{2}$ მუხლით, $153^{6}$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 190-ე და $190^{2}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.“.

*6. კოდექსის 212-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

*„მუხლი 212. საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები*

საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის), 112-ე, 113-ე, 114-ე, $114^{3}$, $114^{4}$ მუხლებით, 115-ე მუხლის პირველი ნაწილით, 128-ე მუხლის მეორე ნაწილით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, 130-ე, 131-ე მუხლებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის).
საზღვაო ტრანსპორტის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს - ნავსადგურის კაპიტანს ან ამ ორგანოთა შესაბამის უფლებამოსილ პირს;
ნავსადგურის კაპიტანს უფლება აქვს 113-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) და 130-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებული ჯარიმა გადაახდევინოს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს.“.

*7. კოდექსის 239-ე მუხლის მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„13. ამ კოდექსის 45-ე, $58^{3}$, 81-ე, $86^{1}$, 107-ე, $114^{1}$, $114^{2}$, 116-ე, 118-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, $127^{1}$ მუხლის პირველი, $1^{1}$, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, $139^{5}$, 150-ე და $153^{3}$ მუხლებით, $153^{6}$ მუხლის მე-2 ნაწილით, 166-ე, 173-ე, $174^{1}$, $174^{15}$, $174^{16}$, $175^{2}$, $176^{1}$, $177^{1}$, 180–ე-183-ე, 190-ე, $190^{2}$ და 191–ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 166-ე და $197^{2}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.“.

*8. კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

„2. ამ კოდექსის $86^1$, $114^2$, 116-ე, 117-ე და 118-ე–122-ე მუხლებით, 123-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე და 127-ე მუხლებით, $127^1$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, $129^1$, 190-ე და $190^2$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ამ კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 და $2^1$ ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯარიმა ადგილზე არ გადაიხდევინება და სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.“.

*9. კოდექსის 249-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*
„2. ამ კოდექსის $58^2$ მუხლით , 86- ე მუხლის მე -9 და მე -10 ნაწილებით , $86^1$-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებით, $114^1$, $128^2$, $155^1$, $155^2$ და 157-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება სამართალდარღვევის საგნის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა. ჯარიმის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას ჩამორთმეული საგნისა და სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*

**განმარტებითი ბარათი**
**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

აღსანიშნია, რომ საქართველო, როგორც საზღვაო სახელმწიფო წარმოადგენს მთელი რიგი საერთაშორისო საზღვაო კონვენციების წევრს, რომელთა უმრავლესობა აღიარებულია როგორც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სავალდებულო ინსტრუმენტები (SOLAS 1978, STCW, COLREG, TONNAGE, Load Lines და სხვ.). აღნიშნული კონვენციების უმეტესობა შეიცავს დებულებებს კონვენციების ***ეფექტური აღსრულების კუთხით, რომლის შესაბამის ზომებადაც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია მიიჩნევს ფულად ჯარიმებს.*** აღნიშნული დადასტურებელია არაერთი რეკომენდაციით, კერძოდ, მაგალითისთვის, 2010 წელს საქართველოში იმყოფებოდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ფაქტების დამდგენი მისია, რომელმაც განახორციელა საქართველოს საზღვაო სფეროს შეფასება. ***სწორედ მათ მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის შესაბამისად, გაცემულია რეკომენდაციები ასეთი ტიპის აღსრულების მექანიზმების დასანერგად.***
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 აგვისტოს №019 „ნავსადგურის წესების“ დამტკიცების შესახებ ბრძანების შესაბამისად, „ნავსადგურის შიდა აკვატორიაში, ფარვატერზე, საზღვაო რუკებზე აღნიშნული გემების ღუზაზე დგომისა და ინტენსიური მოძრაობის ადგილებში ცოცხალი რესურსების რეწვის, სათხევლის და სხვა სახის ბადის გამართვის, აგრეთვე ნავმისადგომიდან ანკესით ან სხვა საშუალებით თევზჭერის აკრძალვის საკითხები რეგულირდება ***სააგენტოს დირექტორის ბრძანებით სანაპირო დაცვასთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით“.*** აღნიშნულის გათვალისწინებით, უკვე მომზადებულია „ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესი“-ს დამტკიცების შესახებ შესაბამისი ბრძანება (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსაზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 21 მაისის ბრძანება №05 „ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესი“), რომელიც ამოქმედდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში წინამდებარე ცვლილების განხორციელებისთანავე. ვინაიდან, ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის წესის დარღვევა თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, შესაბამისად, მომზადდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული კანონიდან გამომდინარე ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის სათანადო ზომა.

ცვლილება შედის კანონის 114-ე მუხლში, სადაც კონკრეტდება საზღვაო პორტებში დატვირთვა-გადმოტვირთვის წესების დარღვევისთვის ჯარიმის ოდენობა, ვინაიდან არსებული რედაქციით გათვალისწინებულია ხელფასის ერთ მინიმალურ ოდენობამდე. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ როგორც წესი აღნიშნული ჯარიმა გამოიწერება გემის კაპიტანზე. ხშირია შემთხვევა, როდესაც კომპანიები სახელფასო სისტემას განსაზღვრავენ სახელფასე მინიმუმს დამატებული ბონუსური სისტემა. ამ პირობებში გემის კაპიტნის ოფიციალური ხელფასი ბონუსის გარეშე არის საკმაოდ დაბალი, რაც შესაძლოა არაპროპორციული იყოს იმ დარღვევისა, რაზეც სამართლადარღვევის ოქმი დგება. ამასთან, ნავსადგურის კაპიტანს მოქმედი რედაქციით ხელმძღვანელობისას უწევს მინიმალური ხელფასის ოდენობის დადგენა, რაც ასევე უკავშირდება დროს და შესაძლოა გამოიწვიოს გემის გაუმართლებელი მოცდენა.

აქვე, კანონს დაემატება შესაბამისი მუხლები, რომლითაც განისაზღვრა ნავსადგურის მიერ საზღვაო კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა. ასევე სალოცმანო კომპანიის მიერ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დადგინდება ჯარიმა სალოცმანო კომპანიის მიმართ. ჯარიმების ოდენობას გააჩნია შემაკავებელი ფაქტორი. რამდენადაც თითოეულ კომპანიას გააჩნია საკმაოდ მაღალი შემოსავალი და ამასთან, სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზღვაო უსაფრთხოების სფეროში წარმოებული ბიზნესით იღებენ შემოსავალს, ცხადია, რომ სახელმწიფოს განზრახვაა სალოცმანო მომსახურება განახორციელონ კერძო კომპანიებმა. თუმცა, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა სალოცმანო მომსახურების ბიზნესში უშვებს კონკურენციას, მნიშვნელოვანია უკვე არსებულმა სალოცმანო კომპანიებმა ბოროტად არ გამოიყენონ ძალაუფლება და არ დაბლოკონ რომელიმე ნავსადგურში ახალი სალოცმანო კომპანიის შექმნა და კონკურენტი კომპანიის კადრების მომზადება. აღნიშნული ლეგიტიმური ინტერესი სახელმწიფოს ორ მიზანს ემსახურება, კერძოდ არ დადგინდეს ბაზარზე კონკურენციის შემზღდველი პირობები მონოპოლიური საქმიანობის გზით, ამასთან სალოცმანო მომსახურების სტრატეგიულ დარგში განხორციელდეს საკადრო რეზერვის შექმნა და თაობათა ცვლა. სწორედ, აღნიშნული ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარეობს, სალოცმანო სამსახურებისათვის დადგენილი საჯარიმო სანქციები, რომელიც მუხლის ობიექტისა და მიზნის მიღწევის პირდაპირპროპორციულია.

შემოთავაზებული ცვლილების პროექტი შეიცავს გემების რეგისტრაციის და საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გებემის მიმართ მოთხოვნების დარღვევაზე რეაგირების სათანადო მექანიზმებს და დაწესდება შესაბამისი სანქციები არასწორი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მიწოდებაზეც, რათა მოხდეს აღნიშნული რისკების მაქსიმალური პრევენცია. საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს ნაკისრი აქვს მთელი რიგი ვალდებულებები საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების ფრაგლებში, რომელთა ეფექტური აღსრულების მიზნით საჭიროა არსებობდეს ფულადი სანქციები, როგორც დარღვევის პრევენციისა და მასზე რეაგირების საშუალება. სანქციები დიფერენცირებულია საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემებისა და შიდა ნაოსნობაში ჩართული გემების მიმართ, რამდენადაც მათი მფლობელების ფინანსური მდგომარეობა განსხვავდება. ამასთან, დარღვევის ხასიათი საერთაშორისო ნაოსნობაში და შიდა ნაოსნობაში ერთმანეთისგან განსხვავდება მათი ხარისხის მიხედვით. მაშინ როდესაც საერთაშორისო ნაოსნობაში

ირღვევა, როგორც საერთაშორისო და ქართული, ასევე სხვა სახელმწიფოს კანონმბდელობაც, საქართველოში მხოლოდ საქართველოს კანონმბდელობა ირღვევა და მათზე რეაგირების მეთოდების გათანაბრება არათანაბ მდგომარეობაში ჩააყენებს შიდა და საერთაშორისო ნაოსნობის გემებს და გამოიწვევს არაპრორციულ სანქციებს.
შემოთავაზებული ცვლილების პროექტი ასევე მიზნად ისახავს კერძო მესაკუთრეთა ან მეიჯარეთა საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ნავსადგურებზე კონტროლის განსახორციელებელ მექანიზმებს. კერძოდ, ***საქართველოს კანონმდებლობაში დღემდე არ არის გაწერილი ეფექტური აღსრულების მექანიზმები იმ სავალდებულო მითითებების შეუსრულებლობის თაობაზე, რომელსაც ადგენს საქართველოს კანონმდებლობა ან კომპეტენტური ორგანოები კერძო ნავსადგურების მიმართ.***

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წინამდებარე კანონის პროექტით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება 86[1]-ე მუხლი, რომელიც დაადგენს ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებს, ***რისთვისაც დაწესებულია 100 ლარიდან 8000 ლარამდე ჯარიმა, რომელიც დამოკიდებული იქნება განმეორებითობის სიხშირეზე.*** სამართალდაღვევათა კოდექსში აღნიშნული მუხლის დამატება ხდება 86-ე მუხლის შემდეგ, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს თევზჭერა სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის იარაღისა და ხერხების გამოყენებით, წყლის ზომამცირე სატრანსპორტო საშუალების (8 მეტრამდე სიგრძის კატარღა, ნავი, ნახევარბარკასი ან სხვა), 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის და 8 მეტრზე მეტი სიგრძის წყლის სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით და აღნიშნული სამართალდარღვევისათვის დაწესებული ჯარიმების ოდენობა განისაზღვრება გამომდინარე იქედან, თუ რა საშუალებები იქნება გამოყენებული თევზჭერისათვის. აქვე, ***86-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შავი ზღვის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, კონტინენტურ შელფზე და საერთო სარგებლობის ყველა წყალსატევზე (ტერიტორიული წყლები, მდინარეები, ტბები, ბუნებრივი ტბორები და წყალსაცავები), რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნენ თევზის რეწვისათვის.*** რაც შეეხება 86[1]-ე მუხლს, რომელიც ემატება წარმოდგენილი პროექტით, აღნიშნული ეხება ***საქართველოს საზღვაო ნავსადგურის წყლებში, შიდა აკვატორიაში, ფარვატერზე, გემების ღუზაზე დგომისა და ინტენსიური მოძრაობის ადგილებში ცოცხალი რესურსების რეწვის, სათხევლის და სხვა სახის ბადის გამართვის, აგრეთვე ნავმისადგომიდან ანკესით ან სხვა საშუალებით თევზჭერის აკრძალვის წესს.*** შესაბამისად, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებულია შედარებით დაბალი ჯარიმები, ვიდრე 86–ე მუხლით.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სამართალდარღვევათა შესახებ

ოქმების შედგენის და საქმის განხილვის უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს.

კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის ასევე კანონის 114-ე მუხლში, სადაც კონკრეტდება საზღვაო პორტებში დატვირთვა-გადმოტვირთვის წესების დარღვევისთვის ჯარიმის ოდენობა.

კანონს დაემატება ასევე შესაბამისი მუხლები, რომლითაც განისაზღვრება ნავსადგურის მიერ საზღვაო კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სათანადო ჯარიმის ოდენობა.

ასევე პროექტის შესაბამისად, სალოცმანო კომპანიის მიერ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგინდება ჯარიმა სალოცმანო კომპანიის მიმართ, რაც მომავალში გამორიცხავს ნავსადგურის ან სალოცმანო კომპანიის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების უგულებელჰყოფას, რასაც დღეს ხშირ შემთხვევაში აქვს ადგილი.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, გემების რეგისტრაციის და საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების მიმართ წაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის დაწესდება სათანადო სანქციები არასწორი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მიწოდებაზე, რაც თავის მხრივ, ასევე ხელს შეუწყობს ზუსტი ინფორმაციის არსებობას გემების სახელმწიფო რეესტრშიც.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

ვინაიდან, ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის წესის დარღვევა, თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, მომზადდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული კანონიდან გამომდინარე ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის ზომა.

კანონს ემატება $114^2$ მუხლი, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს ნავსადგურების ადმინისტრაციის მიერ ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურისთვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუქმნელობისთვის პასუხისმგებლობა; ნავსადგურების მხრიდან საზღვაო კოდექსის უგელებელყოფა სალოცმანო კომპანიებთან ხელშეკრულების გაფორმების მხრივ, რაც საფრთხეს უქმნის საზღვაო უსაფრთხოებას და საზღვაო სააგენტოს არ გააჩნდა რაიმე სახის ბერკეტი ამ საკითხის დასარეგულირებლად, აღნიშნული მუხლით დგინდება ჯარიმის ოდენობა ხელშეკრულების არ გაფორმების შემთხვევაში; დგინდება ჯარიმის ოდენობა სალოცმანო კომპანიების მხრიდან, სააგენტოს მომართვის შემთხვევაში, ლოცმან-სტაჟიორის სტაჟირებაზე არ გატარების შემთხვევაში; დგინდება ჯარიმა ნავსადგურში არსებული ნავმისადგომების დადგენილ ტექნიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობის დადგენაზე; დგინდება ჯარიმა ნავსადგურის მიერ იმ სატვირთო ოპერაციების

წარმოებაზე, რომელიც არ არის ნებადართული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თითოეულ ნავმისადგომზე დაფიქსირებული შეუსაბამობისთვის.

კანონს ემატება 114$^{3}$ მუხლი, რომლითაც საერთაშორისო ნაოსნობაში მყოფი გემებისთვის რეგისტრაციისას ან საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებისთვის ისეთი დოკუმენტის გამოყენებისათვის, რომელიც არ შეესაბამება რეგისტრაციის დროს გამოცემულ დოკუმენტს, უწესდებათ სათანადო ჯარიმები.

**ტრანსპორტის სფეროს რეგულირების მექანიზმების შექმნის მიზნით ჯარიმების მსგავსი ოდენობა უკვე არსებობს სამოქალაქო ავიაციის სფეროში. აქედან გამომდინარე, ხორციელდება ჯარიმების შესაბამისი ოდენობა განისაზღვრა მათი ეფექტურობის თვალსაზრისით.**

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებით დაფინანსების წყაროს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტი ითვალისწინებს სახდელის სახით ჯარიმის დაწესებას, რამაც შესაძლოა მოახდინოს გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. შესაბამისი გაანგარიშების განსაზღვრა ამ ეტაპზე (წინასწარ) შეუძლებელია.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებიც ჩაიდენენ შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმებს შესაბამისი სამართალდარღვევებისთვის, პროექტით წარმოდგენილი ოდენობებით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი - სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო".

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.

**იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება, მათ შორის, ხდება მისი (მათი) ამოღება**

**<u>მუხლი 114. საზღვაო პორტებში დატვირთვის, გადმოტვირთვის და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევა</u>**

საზღვაო პორტებში დატვირთვის, გადმოტვირთვისა და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

*<u>საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი №436 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №16, მარტი, 1994 წ., მუხ.308</u>*

**<u>მუხლი 209. შინაგან საქმეთა ორგანოები</u>**

1. შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 58$^{3}$, 107$^{1}$–107$^{3}$, 108-ე, 114$^{1}$, 114$^{2}$, 116-ე, 118-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127$^{1}$ მუხლის პირველი, 1$^{1}$, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129$^{1}$ მუხლით, 131-ე მუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 134-ე და 139$^{5}$ მუხლებით, 153$^{6}$ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 174$^{15}$ მუხლით (გარდა მე-4 ნაწილისა), 174$^{16}$ და 176$^{1}$ მუხლებით, 181$^{1}$მუხლის პირველი ნაწილით, 182$^{1}$, 182$^{2}$, 190-ე, 190$^{2}$ და 191-ე მუხლებით.

2. ამ კოდექსის 116-ე და 118-ე−122-ე მუხლებით, 123-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127$^{1}$ მუხლის პირველი, 1$^{1}$, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებითა და 129$^{1}$ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას, თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, პოლიციელი, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.

2$^{1}$. <u>ამ კოდექსის 114</u> $^{2}$ <u>მუხლით</u>, <u>153</u> $^{6}$ <u>მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით</u>, <u>190-ე</u> და <u>190</u> $^{2}$ <u>მუხლებით</u> გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, თუ შესაბამისი სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევების (გარდა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისა)

საქმეს განიხილავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ უფლებამოსილი პირი.

*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება №408 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №10-ის დანართი, ოქტომბერი, 1985 წ., მუხ.370*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 11 ივნისის ბრძანებულება №785 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1986 წ., მუხ.140*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 19 ივნისის ბრძანებულება №1304 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1987 წ., მუხ.151*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 22 ივნისის ბრძანებულება №1306 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1987 წ., მუხ.152*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულება №1370 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №8, აგვისტო, 1987 წ., მუხ.207*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 23 სექტემბრის ბრძანებულება №1426 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №9, სექტემბერი, 1987 წ., მუხ.223*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულება №1527 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, დეკემბერი, 1987 წ., მუხ.317*
*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 5 ივნისის ბრძანებულება №2156 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1989 წ., მუხ.72*
*საქართველოს 1991 წლის 30 იანვრის კანონი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №1, იანვარი, 1991 წ., მუხ.38*
*საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 28 ივნისის კანონი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1991 წ., მუხ.450*
*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.I, 1992 წ., მუხ.128*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი №436 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №16, მარტი, 1994 წ., მუხ.308*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 14 ივნისის კანონი №519*
*საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 30 ივნისის კანონი №542 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №19, ივნისი, 1994 წ., მუხ.419*
*საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი №313 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.1996წ., გვ. 32*
*საქართველოს 1997 წლის 13 მაისის კანონი №696 – პარლამენტის უწყებანი, №23-24, 07.06.1997წ., გვ. 3*
*საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი №2148 – სსმ I, №27(34), 06.07.1999წ., მუხ.143*
*საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1621 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.110*

*საქართველოს 2003 წლის 5 დეკემბრის კანონი №3136 – სსმ I, №32, 22.12.2003წ., მუხ.234*
*საქართველოს 2004 წლის 24 თებერვლის კანონი №3409 – სსმ I, №5, 04.03.2004წ., მუხ.18*
*საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №1753 - სსმ I, №38, 15.07.2005წ., მუხ.251*
*საქართველოს 2005 წლის 9 ნოემბრის კანონი №2024 - სსმ I. №48, 29.11.2005წ., მუხ.321*
*საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 - სსმ I, №15, 16.05.2006წ., მუხ.110*
*საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი №3382 - სსმ I, №24, 29.06.2006წ., მუხ.190*
*საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის კანონი №5179 - სსმ I, №28, 18.07.2007წ., მუხ.276*
*საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №620 - სსმ III, №35, 05.12.2008წ., მუხ.226*
*საქართველოს 2010 წლის 28 ოქტომბრის კანონი №3779 - სსმ I, №63, 10.11.2010 წ., მუხ.406*
*საქართველოს 2011 წლის 11 ოქტომბრის კანონი №5097 - ვებგვერდი, 03.11.2011წ.*
*საქართველოს 2012 წლის 24 აპრილის კანონი №6058 – ვებგვერდი, 07.05.2012წ.*
*საქართველოს 2012 წლის 22 მაისის კანონი №6246 – ვებგვერდი, 08.06.2012წ.*
*საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1272 – ვებგვერდი, 26.09.2013წ.*

*საქართველოს 2013 წლის 27 ნოემბრის კანონი №1644 - ვებგვერდი, 13.12.2013წ.*

*საქართველოს 2013 წლის 11 დეკემბრის კანონი №1700 - ვებგვერდი, 25.12.2013წ.*

*საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1868 - ვებგვერდი, 30.12.2013წ.*

*საქართველოს 2013 წლის 24 დეკემბრის კანონი №1835 - ვებგვერდი, 03.01.2014წ.*

*საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2046 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.*

*საქართველოს 2014 წლის 2 მაისის კანონი №2375 - ვებგვერდი, 16.05.2014წ.*

*საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი №2698 - ვებგვერდი, 31.10.2014 წ.*

## მუხლი 212. საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები

საზღვაო ტრანსპორტის ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის), 112-ე, 113-ე, 114-ე მუხლებით, 115-ე მუხლის პირველი ნაწილით, 128-ე მუხლის მეორე ნაწილით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, 130-ე, 131-ე მუხლებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის).

საზღვაო ტრანსპორტის ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

პორტის კაპიტანს და მის მოადგილეს, ცვლის უფროსს, უფროს კაპიტანს და საპორტო ზედამხედველობის კაპიტანს, საზღვაო ვაგზლის უფროსს და მის მოადგილეს, გემის კაპიტანს;

რაზმის უფროსს და მის მოადგილეს, ცალკეული რაზმის უფროსს, ცალკეული რაზმის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკის უფროს ინსტრუქტორს და ინსტრუქტორს.

ცვლის უფროსის, უფროსი კაპიტნის და საპორტო ზედამხედველობის კაპიტნის მიერ დადებული ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობას.

ამ მუხლში დასახელებულ თანამდებობის პირებს უფლება აქვთ 113-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) და 130-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (საზღვაო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებული ჯარიმა გადაახდევინონ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მასზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ სახდელს.

*საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულება №1370 – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №8, აგვისტო, 1987 წ., მუხ.207*

*საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.I, 1992 წ., მუხ.128*

## მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, ოქმი არ დგება ამ კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

2. ამ კოდექსის $42^{1}$ და $42^{2}$ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს კოლექტიური შრომითი დავის მომწესრიგებელი სამსახური;

$2^{1}$. ამ კოდექსის $42^{3}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ამ კოდექსის $57^{2}$ მუხლით, $60^{1}$ მუხლის მე-2 ნაწილით, 61-ე, 95-ე, $128^{1}$ და $173^{5}$ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები.

4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–$51^{2}$, $51^{4}$–$53^{2}$, 54-ე, $54^{1}$, $55^{1}$, $55^{4}$, 56-ე, 57-ე–59-ე, $59^{3}$, მე-60, $60^{3}$, $61^{1}$, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, $69^{4}$, $69^{5}$, 71-ე, $71^{1}$, $72^{1}$–78-ე, $79^{1}$–$79^{3}$,

$82^{1}$, $82^{2}$, 84-ე‒86-ე, $87^{1}$–$87^{3}$, 89-ე–$89^{3}$, $91^{2}$, $103^{1}$, 104-ე და $128^{2}$–$128^{5}$ მუხლებით, 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და $173^{5}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.

$4^{1}$. ამ კოდექსის $59^{2}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლები.

$4^{2}$ . ( ამოღებულ ია – 25.03.2013, №453 ).

$4^{3}$ . ამ კოდექსის 51-ე და $51^{2}$ და $54^{1}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

5. (ამოღებულია);

6. ამ კოდექსის 95-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ აგრეთვე გაზის მეურნეობის საამისოდ უფლებამოსილი მუშაკები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

7. (ამოღებულია);

8. (ამოღებულია);

9. ამ კოდექსის $92^{1}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

10. ამ კოდექსის 88- ე და $144^{10}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი პირები ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

$10^{1}$ . აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ამ კოდექსის 88-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირები.

11. ამ კოდექსის $107^{1}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ პოლიციის, რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები;

12. ამ კოდექსის $107^{2}$ და $107^{3}$ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირები;

13. ამ კოდექსის 45-ე, $58^{3}$, 81-ე, 107-ე, $114^{1}$, $114^{2}$, 116-ე, 118-ე‒123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, $127^{1}$ მუხლის პირველი, $1^{1}$, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, $139^{5}$, 150-ე და $153^{3}$ მუხლებით, $153^{6}$ მუხლის მე-2 ნაწილით, 166-ე, 173-ე, $174^{1}$,

174 $^{15}$, 174 $^{16}$, 175 $^{2}$, 176 $^{1}$, 177 $^{1}$, 180-ე–183-ე, 190-ე, 190 $^{2}$ და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 166-ე და 197 $^{2}$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.

13$^{1}$ . ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიმართ ჩადენისას, აგრეთვე ამავე კოდექსის 246-ე მუხლის „გ$^{1}$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი.

13$^{2}$ . ამ კოდექსის 173 -ე მუხლით გათვალისწინებულ ი ადმინისტრაციულ ი სამართალდარღვევ ის შესახებ ოქმს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს აღსრულების პოლიციელი.

14. ამ კოდექსის 51 $^{3}$ , 53 $^{3}$ , 55-ე, 55 $^{2}$ , 55 $^{3}$ და 107 $^{4}$ მუხლებით, 114 $^{2}$ მუხლის მე-6 ნაწილით, 119 $^{1}$ მუხლით, 127 $^{1}$ მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე, 146 $^{1}$ , 148-ე, 150-ე, 150 $^{1}$ , 151-ე, 152-ე და 153 $^{4}$ მუხლებით, 153 $^{6}$ მუხლის მე-2 ნაწილით, 159-ე და 159 $^{1}$ მუხლებითგათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

15. (ამოღებულია).

16. ამ კოდექსის 153-ე, 153$^{1}$ , 154$^{1}$ , 154$^{2}$ , 155$^{1}$ , 158-ე, 158$^{1}$ , 159$^{4}$ , 163-ე, 165$^{3}$ და 178-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოები ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოების უფლებამოსილი პირები.

16$^{1}$ . ამ კოდექსის 159$^{10}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯან მ რთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები და შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.

17. (ამოღებულია).

18. ამ კოდექსის 173$^{3}$ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს შეადგენს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე;

19. ამ კოდექსის 127 $^{1}$ მუხლის მე-2 ნაწილითა და 153-ე, 153 $^{1}$, 153 $^{5}$, 155 $^{1}$–155 $^{6}$, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164 $^{4}$, 165-ე–165 $^{3}$, 178-ე, 179 $^{3}$, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.

20. ამ კოდექსის 173$^{4}$ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს სახალხო დამცველი;

21. ამ კოდექსის $173^{5}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ კანონით განსაზღვრული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები;

22. ამ კოდექსის $179^{2}$ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები;

23. ამ კოდექსის $174^{2}$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები, მის მიერ უფლებამოსილი პირები ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები;

